# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 15 თებერვალი, 2014 წელი.

№32-33 (7414)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

## ბევრ ჩინოვნიკს ⑤ ჯიბეებს შეუთხელებენ

## როგორი ჩანს ხვალინდელი საქართველო დღევანდელობის გადასახედიდან? ②

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე ესაუბრა ტელეკომპანია „იმედის“ თოქ-შოუ „პოლიტიკის დროს“ წამყვანს თეა სიჭინავას. გთავაზობთ ამ საუბრის დასასრულს.**

## სამართლიანი არჩევნები რეპრესიული საარჩევნო კოდექსით?! ③



## მეგზევეები ③ შეწუხებული ვართ!

## დღის ამფრაზურიდან

# ხალხი მიდის და მილაპარაკობს...

### რაც უკვე ყოველ ნაბიჯზე ისმის



— **დიდად** სამწუხაროა, რომ აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი ცოცხალი აღარ არის.

— რაო?..

— რაო და, რამდენი მთავრობაც მოდის, პირდაპირ საოცარია, ყურები ყველას ერთნაირად დაცობილი აქვს, ხალხის ლაპარაკი არავის არ ესმის, თხოვნებსა და წუხილზე ჩივილი ხომ ზედმეტია. ნამდვილად კარგი იქნებოდა, სანამ ახალი მთავრობა მუშაობას შეუდგებოდეს, ვინმე ხეჩინაშვილის მოწაფე ოტოლარინგოლოგს ყურებში ჩაეხედა მთავრობის წევრთათვის და კარგა გვარიანად ამოეწმინდა, რათა ერთხელ და სამუდამოდ შეეღწია ხალხის ხმას მთავრობის გონებამდე.

— არა, ეს სამართლიანობა მაინც რა გახდა! ესეც ხომ პენსიის გადიდება, დენისა და გაზის შემცირება არ არის, ამასაც ხომ ბიუჯეტი არ სჭირდება!

— როგორ არ სჭირდება, მაგრამ მაგ ბიუჯეტს სინდის-ნამუსის ბიუჯეტი ჰქვია, რაც მსოფლიოში მთავრობათა უმრავლესობას მარტო ქაღალდზე უწერია, ისიც ყასიდად.

— შე დალოცვილო, შენ თუ თვეში ათი და ოცი ათასი არ გყოფნის, თანაც მთელ სახელმწიფოს იმსახურებ და პარპაშებ, მარტო წყლის ნაყვას უნდები, მე 150 ლარი როგორ ვიმყოფინო, როცა მარტო გათბობის გადასახადი თითქმის 250 ლარი მოდის, დენზე და სხვა გადასახადებზე აღარაფერს ვამბობ.

— ისე, ურიგო არ იქნებოდა, თუ კონსტიტუციაში პირგასამტეხლოს მუხლს შევიტანდით და ხალხს ოფიციალურად ექნებოდა იმის უფლება, რომ წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობისთვის პირგასამტეხლო გადაეხადა მთავრობას ხალხისთვის, თანაც საკუთარი ხელფასიდან, საკუთარი შემოსავლებიდან.

— აბა, ეს საკონსტიტუციო სასამართლო, ეს კიდევ ერთი ზედმეტი დიდი პირი, რიღასთვის გვინდა, თუ მთავრობასა და ხალხს შორის სწორედაც ასეთ ურთიერთობებს არ მოაგვარებს.

— რიღასთვის გვინდა, და მთავრობას თავისი გაბერილი უფლებების დასაცავად სჭირდება, ბატონო, თორემ ოდესმე გინახავთ, რომ მაგ საკონსტიტუციოს ხალხის უფლებები დაეცვას?!

— კარგი, მაგ საკონსტიტუციოს თავი დავანებოთ, ჯანდაბას, იფუფუნონ და იპარპაშონ, მაგრამ საერთოდ ჩვენს სასამართლოზე თუ გიფიქრიათ, რა დღეში ჰყავდა და, სამწუხაროდ, ჯერ ისევ ჰყავს ქვეყანა!

— მაინც!

— რა მაინც... რა გახდა ეს მერაბიშვილისა და ახალაიას სასამართლოები! როდემდე უნდა ჭიმონ ასე უნამუსოდ. მაგათ დანაშაულს თუ კიდევ მტკიცება სჭირდება, აღარა ყოფილა საშველი და ეგ არის. ანდა მართლაც სამშობლოსჭამია უგულავას, კეზერაშვილს, ბოკერიას და გვარამიას როდემდე უნდა უგორონ წითელი კოჭი?!

— ამერიკის დემოკრატია ითხოვს, ნაციონალებს ფაქიზად მოექეცითო, სააკაშვილი ჩვენი კაცია, უფრო სწორად ძაღლია, მაგრამ ჩვენი ძაღლია, ჩვენს დავალებებს ასრულებდა და ასრულებს, გინდა ეგ დაგიჭერიათ, გინდა ჩვენთვის შეგიფურთხებიათ, სულერთიაო.

— მაშ, აბა, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, თუ ამერიკა ასეთ დონეზეა ჩვენს საქმეში ჩარეული და „ოცნება“ ხელფეხშეკრული ჰყავს.

— თუ „ოცნება“ ხელფეხშეკრული არ არის, უკვე მეორე წელიწადია ხელისუფლებაშია, რატომ ერთი საქმე მაინც ვერ მიიყვანა ბოლომდე?! უპირველესი დამნაშავე სააკაშვილი მთელ მსოფლიოში დასეირნობს, არანაკლები დამნაშავე ადეიშვილი დღემდე არ ჩამოუყვანიათ, ეგრეთ წოდებულმა უმცირესობამ კი ლამის არის აქეთ გამოუტანოს განაჩენი ჩვენს დონკიხოტ მეოცნებეებს.

— არა, პირდაპირ საკვირველია, როდემდე უნდა ერქვას საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წინა ხელისუფლების ყველა ბოროტების დამკანონებელ კოტე კუბლაშვილს. მან თავის ნაციონალთა უპირველეს პროპაგანდისტ ძმასთან ერთად სახალხოდ უნდა აგოს პასუხი ყველა ხილული თუ მიჩქმალული დანაშაულისთვის, რაც ბოლო ათი წლის მანძილზე ჩვენს ყოველგვარ იმედგაცრუებულ ქვეყანაში ხდებოდა...

— ნუთუ ბოლოს და ბოლოს ვერ თუ არ უნდა გაირკვეს ჟვანიას ტრაგედია, გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის და ათობით თუ ასობით ახალგაზრდის პირდაპირ ქუჩაში დახვრეტის ამბავი?

— როდემდე უნდა დარჩეს „რუსთავი-2“-ის ეკრანი ბოროტების ეკრანად, საიდანაც ისევ და ისევ გვემუქრებიან გაბაშვილები, დარჩიაშვილები, წიკლაურები, წერეთლები, მინაშვილები, ვაშაძეები, კანდელაკები, მაჭავარიანები, გამხეცებული ნადირაშვილები და გაძერძერუკებული ჩიორები?

— ამდენი რა ავი ენერგიაა ჩადებული, ხალხო, ამ ეშმაკის ნაშიერ სააკაშვილში, რომ მეორე წელიწადია მარტო კი არ გველანდება, არამედ ცოცხლად არ გვანებებს თავს.

— არ ვიცი, ვის ეწყინება, მაგრამ მაინც პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ უკვე ყველასგან, ალბათ, მილიონჯერ მოტყუებული საქართველო ამჟამად იმ საცოდავ ნაგვემ კოზაკსა ჰგავს, რომელიც ორ აქლემს (რუსეთსა და ამერიკას) შორის ისევ და ისევ ჩვენივე უნიათობით იჭყლიტება, თუ უკვე გაჭყლეტილები არა ვართ!..

— ნუთუ კიდევ დიდხანს გაგრძელდება მეოცნებეთაგან ქვეყნისა და ხალხისთვის ასეთი აშკარად მავნე წინწაჯექუკუჯექობის პოლიტიკა?!

— ახლა მხოლოდ ვაჟკაცური პრინციპულობა და პრინციპული ვაჟკაცობა თუ გვიშველის!

**ძვირფასო, ცოტა არ იყოს, დემოკრატიულად დაბნეულო მეოცნებეებო! დრო აღარ ითმენს, ბოლოს სანანებელი რომ არ გაგიხდეთ, რაც შეიძლება მალე გამოიძრეთ მაგ მოსქელო ყურებიდან „ნაციონალ-კოჰაბიტაციურ-დემოკრატიული“ ტამპონები!..**

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

№32-33. შაბათი, 15 თებერვალი. 2014 წელი.

# როგორი ჩანს ხვალინდელი საქართველო დღევანდელობის გადასახედიდან?

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე ესაუბრა ტელეკომპანია „იმედის" თოქ-შოუ „პოლიტიკის დროს" წამყვანს თეა სიჟინავას. გთავაზობთ ამ საუბრის დასასრულს.**




**— რადგან მედიას შევეხეთ, გვერდს ვერ ავუვლით „საზოგადოებრივი მაუწყებლის" თემასაც. ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის ცნობილი სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა, არ ხდება მისი ფორმირება. თუ აკვირდებით ამ პროცესებს და რას ფიქრობთ იქ მიმდინარე მოვლენებზე? საზოგადოების ერთ ნაწილს აქვს იმის განცდა, რომ ხელისუფლება ცდილობს საზოგადოებრივი მაუწყებლის გაკონტროლებას, რადგან ჭიანურდება სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტება.**

— გასაგებია, მე ცოტა შორს წავალ და ამ საკითხს დავუბრუნდები. მინდა იმ ადამიანს ვუპასუხო, ვისაც აქვს რაიმე განცდა, ან შეკითხვა, ან რაიმე ეჭვი, რომ ჩვენ ვცდილობთ, „გავაკონტროლოთ", როგორც მათ წარმოუდგენიათ, საზოგადოებრივი ტელევიზია. მინდა ამ ადამიანებს მივმართო და ვუთხრა, ჯერ კიდევ ბატონი ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის დროს დაიწყო ეს პროცესი. მინდა, რომ ამ ადამიანებს ლოგიკური კითხვა დავუსვა, ვუპასუხო ასევე ლოგიკურად და განვუმარტო: ჩვენს ხელისუფლებას, ჩვენს გუნდს, რომლის ლიდერი იყო ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომ ჰქონოდა ის არაჯანსაღი სურვილი, რომ გაეკონტროლებინა საზოგადოებრივი არხი, მაშინ ნუთუ ეს ადამიანები ვერ ხვდებიან, რომ ტელევიზია რომ გვდომოდა, ბატონი ბიძინა ელემენტარულად არ დახურავდა მეცხრე არხს? თუ ჩვენ, და ამ შემთხვევაში ჩვენი გუნდის ლიდერს, ამა თუ იმ ტელევიზიის „გაკონტროლების", ან ქონის ან რაღაც გამოყენების სურვილი ჰქონოდა, მაშინ რატომ დახურავდა არჩევნებამდე საკუთარ ტელევიზიას? ხომ არსებობს ეს ლოგიკური კითხვა? არსებობს.

**— მაგრამ არსებობს მეორე კითხვაც, რატომ ჭიანურდება „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ირგვლივ პროცესები?**

— იცით, ალბათ, რომ მაშინ, როცა დასრულდა კონკურსი და შერჩევის ვადა ამოიწურა, გარკვეულმა ადამიანებმა გამოთქვეს წუხილი და პრეტენზიები, რომ მათ არ იცოდნენ, ინფორმაცია არ ჰქონდათ. რაღაც გარკვეული კითხვები გაჩნდა. ამის შემდეგ პარლამენტმა დაიწყო მუშაობა, ისინი პროცედურულად გაჰყვნენ, ამაზე, მე მგონი, უსუფაშვილმაც გააკეთა ძალიან კარგი და ნათელი განმარტება, რომ კითხვები აღარ უნდა დარჩეს საზოგადოებას, მაგრამ თუ მაინც არსებობს, უნდა განვუმარტოთ — ჩემიდან დაწყებული ნებისმიერი ჩვენი გუნდი წარმომადგენლით პროცედურულად გავყევით და პირველ ჯერზე რამდენიმე ადამიანი შევარჩიეთ. სხვა ადამიანების შერჩევის პროცესმა გადაიწია, რაც არის აბსოლუტურად კანონიერი, ხაზს ვუსვამ, კანონიერი უფლება საქართველოს პარლამენტის. კანონის თანახმად, გამოცხადდება მეორე კონკურსი, ხელმეორედ კონკურსის წესით ახალი წევრები შეირჩევიან, რომელსაც პარლამენტი დაამტკიცებს, და დასრულდება ბორდის კომპლექსაციის პროცესი.

**— მინისტრთა კაბინეტს, კადრებს უნდა შევეხოთ. კულტურის მინისტრის მოადგილის მარინა მიზანდარის საკითხს ვგულისხმობ, თქვენ მოგმართათ კულტურის მინისტრმა განცხადებით, რომ დაგეკმაყოფილებინათ მარინა მიზანდარის თანამდებობიდან გათავისუფლება...**

— ჩემთვის, მთავრობის მეთაურისთვის და გუნდის ლიდერისთვის, მთავარი ამოცანა იყო და არის გუნდურობის სიმტკიცე, ერთიანობა და კოლეგიალობა. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება, ქალბატონ მარინე მიზანდარს დიდ პატივს ვცემ, ის არის თავისი საქმის პროფესიონალი და თავისი დარგის ძალიან კარგი სპეციალისტი. მაგრამ ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ის ფაქტი, რომ ქალბატონი მარინა აკრიტიკებს საკუთარ მინისტრს. ეს უკვე არ ჯდება ჩვენ მიერ წარმოებულ პოლიტიკაში. ეს არღვევს ყველანაირ გუნდურობას და ყველანაირ დაწერილ თუ დაუწერელ კანონებს სცდება. არ შეიძლება, იყო მინისტრის მოადგილე და საჯაროდ აკრიტიკებდე მინისტრს. ეს ნიშნავს, რომ ძალიან დიდი შეუთავსებლობა და შეუთანხმებლობა არსებობს ამ ორ ადამიანს შორის. მე ძალიან მარტივად ვუყურებ ამ საკითხს, თუ ხარ მოადგილე და არ მოგწონს მინისტრი, ანუ შენი ხელმძღვანელი, შენ უბრალოდ უნდა წახვიდე. არ არის აუცილებელი, რომ მინისტრმა გაგიშვას.

მინისტრს უნდა ჰქონდეს, მნიშვნელობა არა აქვს, ოდიშარია იქნება თუ სხვა, სრული თავისუფლება, რომ ეფექტურად აწარმოოს და მართოს თავისი უწყება. თუ ვერტიკალი ირღვევა ნებისმიერ სამინისტროში, სტრუქტურაში და იქ საფრთხე ექმნება მენეჯმენტს, ამ შემთხვევაში იქ გაკეთებული საქმე ეფექტური ვერ იქნება.

მე ვიცი, რომ პიროვნული პრობლემებიც ჰქონდათ და თვეების განმავლობაში გრძელდებოდა ეს დაპირისპირება. აქედან გამომდინარე, მე მომმართა კულტურის მინისტრმა წერილობით, რომ დამეკმაყოფილებინა მისი შუამდგომლობა, ვინაიდან კანონის მიხედვით მე უნდა გამეკეთებინა ეს და გავაკეთე კიდეც, რადგან შეუძლებელი გახდა ამ ორი ადამიანის ერთ უწყებაში თანაცხოვრება, თანამშრომლობა და მუშაობა.

**— რაც საზოგადოებისთვის ცნობილია, ის არის, რომ მინისტრსა და მოადგილეს შორის ამ უთანხმოების საკითხია საყდრისი. იგი. ხუდონის მსგავსად, სენსიტიური თემაა და სასწორის ორივე მხარეს ორი ძალიან საინტერესო და ღირებული თემა დევს.**

— მე ვესაუბრე ოდიშარიას და მან დამიდასტურა, რომ ეს კონფლიქტი არ დაწყებულა თქვენ მიერ ნახსენები თემით. ანუ ეს კონფლიქტი საყდრისს არ უკავშირდებოდა, მათ ჰქონდათ პიროვნული შეუთავსებლობა, საკითხებზე ვერ თანხმდებოდნენ.

**— რადგან საყდრისს შევეხეთ, თქვენი აზრი მაინტერესებს, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, ერთი მხრივ, კულტურული მემკვიდრეობაა, მეორე მხრივ, ინვესტიცია და ეკონომიკური სარგებელი...**

— მე მგონი ამაზე კულტურის სამინისტრომ გააკეთა კომენტარი, თუ არ გააკეთა, გააკეთებენ. მე ვიცი, რომ რამდენიმე თვის მანძილზე მეცნიერებათა აკადემია და აკადემიის ეგიდით შექმნილი კომისია ჩართული იყო ამ საკითხის შესწავლაში, მათ, ჩემი ინფორმაციით, დასკვნაც კი დადეს და კულტურის სამინისტრო ამ დასკვნის საფუძველზე იმოქმედებს. ჩვენ, ბუნებრივია, არ ვართ სპეციალისტები და უნდა მოვუსმინოთ სპეციალისტებს, იმ, მართლაც, პატივსაცემ, გამოცდილ ადამიანებს, რომლებსაც ამ დარგში ჭკუა მოეკითხებათ, ანუ არქეოლოგიაში, კულტურულ მემკვიდრეობაში და ა. შ. ამიტომ ჩვენ მივმართეთ მეცნიერებათა აკადემიას, ჩართული იყო რამდენიმე უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი, აკადემიკოსი. ერთობლივი კომისია შეიქმნა, რამდენიმე თვე აწარმოეს დაკვირვებები. ჩაატარეს კვლევები და დადეს დასკვნა. ამ დასკვნის გასაჯაროება ცუდი არ იქნებოდა, და ამ დასკვნის შესაბამისად უნდა იმოქმედოს კულტურის სამინისტრომ, ვინაიდან იგი ექსპერტების ანალიზს უნდა დაეყრდნოს.

**— რადგან მინისტრთა კაბინეტს შევეხეთ, არის რგოლი, რომლის მუშაობითაც კმაყოფილი არ ხართ? ან რგოლი, რომელიც სხვებთან შედარებით, უფრო მეტ შეხებას იმსახურებდა?**

— რა თქმა უნდა, მე ჯერ კიდევ ვაკვირდები მინისტრებს და მათ მუშაობას. ამ ეტაპზე ამ თემაზე საუბარი არ მსურს, უბრალოდ ჩვენ ვართ ერთი გუნდი. და მე ვქმნი ყველა პირობას, რომ ყველა მინისტრი მოტივირებული იყოს. და რაც მთავარია, მათ კარგად აქვთ გააზრებული, თუ რაოდენ დიდ საქმეს ემსახურებიან ისინი და რამხელა პასუხისმგებლობა დაგვეკისრა საკუთარი ამომრჩევლის, მოქალაქეების, საკუთარი ქვეყნის წინაშე. ჯერჯერობით ყველა მინისტრი აბოლუტურად გააზრებულად გრძნობს ამ პასუხისმგებლობას და არიან ადეკვატურები და მოტივირებულები. მე ხელს შევუწყობ, რომ ისინი მუდამ დაკავებული და მოტივირებულები იყვნენ.

**ჩვენს ხელისუფლებას, ჩვენს გუნდს, რომლის ლიდერი იყო ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომ ჰქონოდა ის არაჯანსაღი სურვილი, რომ გაეკონტროლებინა საზოგადოებრივი არხი, მაშინ ნუთუ ეს ადამიანები ვერ ხვდებიან, რომ ტელევიზია რომ გვდომოდა, ბატონი ბიძინა ელემენტარულად არ დახურავდა მეცხრე არხს? თუ ჩვენ, და ამ შემთხვევაში ჩვენი გუნდის ლიდერს, ამა თუ იმ ტელევიზიის „გაკონტროლების", ან ქონის ან რაღაც გამოყენების სურვილი ჰქონოდა, მაშინ რატომ დახურავდა არჩევნებამდე საკუთარ ტელევიზიას?**

დანარჩენს ვაკვირდები და ამ ეტაპზე რაიმე სერიოზული საპრეტენზიო არ მაქვს.

**— მთავარი პროკურორის თემასაც შევეხოთ. გიორგი ბადაშვილის შესახებ საზოგადოებისთვის ცოტა რამ არის ცნობილი, ახალი კადრია. თქვენეული შეფასება გვაინტერესებს. რა კრიტერიუმებით შეაჩერეთ მასზე არჩევანი? რა ამოცანები დაუსახეთ ახალ მთავარ პროკურორს?**

— ჩვენ გვქონდა კონსულტაციები გუნდში ახალ პროკურორთან დაკავშირებით. ჩვენ შევარჩიეთ გიორგი პროფესიონალიზმის ნიშნით, გამოცდილებით, წარსულით, პატიოსნებითა და პატრიოტიზმით. მე მგონი, ეს საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანი შეარჩიო. დანარჩენი ამოცანები ძალიან მარტივია და მან და მისმა გუნდმა ძალიან კარგად გაიაზრა ეს ყველაფერი. მე მინდა შევაქო ისინი. ამ დროისთვის ისინი ძალიან აქტიურები და მოტივირებულები არიან, რომ ყველა დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანონ და საზოგადოებაში აღარ დარჩეს რაიმე შეკითხვა. რა თქმა უნა, მე მესმის ადამიანების, რომლებიც ითხოვენ სამართლის აღდგენას. ეს ტერმინი დამკვიდრდა საზოგადოებაში და მინდა, ეს თემა განვავრცო. ჩვენ დავიწყეთ სამართლიანობის აღდგენის პროცესი. და სამართლიანობის აღდგენა — ეს არის სამართლიანობის დამკვიდრების შემადგენელი ნაწილი . გვეკითხებიან, ვინ მიეცით პასუხისგებაში? ძალიან ბევრი მაღალჩინოსანი, რომლებიც რეალურად იყვნენ პოლიტიკის შემმუშავებელნი და დამკვეთის გამცემები, დღეს პასუხისგებაში არიან მიცემულნი. ეს პროცესი გრძელდება და დარწმუნებული ვარ, რომ ბოლომდე იქნება მიყვანილი.

**— მოდით, ეკონომიკასაც შევეხოთ. ბიძინა ივანიშვილმა თავის პრესკონფერენციაზე ერთი კრიტიკა გაიმეტა და ისიც თქვენთვის - მან ასეთი რამ განაცხადა, რომ თქვენ არასწორი ფორმულირება გააკეთეთ ეკონომიკურ ვარდნასთან დაკავშირებით. თქვენ გაიზიარეთ მაშინ ეს შენიშვნა. იქნებ აგვიხსნათ, თუ არა ეკონომიკური ვარდნა, რა ერქვა მაშინ იმ პროცესს?**

— ვარდნა, რა თქმა უნდა, არ ყოფილა. მაშინ არასწორად ვიხმარე ეგ ტერმინი, ვარდნა არ ყოფილა და აბსოლუტურად ვიზიარებ და მიღებულია ეს კრიტიკა. იყო შენელება, წინა ხელისუფლება აბსოლუტურად არანორმალურ პოლიტიკას აწარმოებდა, რადგან რეალურად ისინი ეკონომიკის საფუძვლებს კი არ ქმნიდნენ, რეალურ ეკონომიკას კი არ აშენებდნენ, არამედ ეს იყო ფასადური პოლიტიკის გაგრძელება ყველა სფეროში. აიღეთ, დამისახელეთ სფერო, სადაც ფასადური არ იყო „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკა, მით უმეტეს — ეკონომიკაში. მე ვახსენე, მაგალითად, ადგილობრივი წარმოება, რომელიც ბოლო 9 წლის განმავლობაში გაანადგურა „ნაციონალურმა მოძრაობამ". გაანადგურა, პირდაპირ შემიძლია ეს სიტყვა ვიხმარო. რომელ ეკონომიკაზეა საუბარი? რომელიც — 80 პროცენტი დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე? გაიხედეთ, რეგიონებში რა ხდება. სოფლის მეურნეობაში რა ხდებოდა? ეკონომიკის ნებისმიერი დარგი აიღეთ, სადაც პრობლემა არ იყო. ისინი ამ ხელოვნური სტიმულატორებით მანიპულირებდნენ, ციფრებით, ეკონომიკური დროებითი მაჩვენებლებით, რაღაც გაუაზრებელი პროექტების მშენებლობებით... გეტყვით მაგალითს, სააკაშვილის გადაწყვეტილებით, მისი სასახლე დაჯდა 600 მილიონი ლარი. 360 მილიონი დაჯდა ქუთაისის პარლამენტი. 160 მილიონი — იუსტიციის სახლი, რომელიც ჯერ კიდევ რემონტის პროცესშია. მთავრობის სახლი, ძალიან უხეშად, — მილიარდ 200 მილიონი. როცა მილიარდ 200 მილიონს ქართულ ეკონომიკაში ჩაუშვებ, ბუნებრივია, ეკონომიკა გაიზრდება. მაგრამ ჩამოთვლილი პროექტებიდან რომელმა მოახდინა რეალური სარგებელი რიგით მოქალაქეზე? ეს ფული შეიძლებოდა მიმართული ყოფილიყო თუნდაც ადგილობრივი წარმოების განვითარებისთვის. რატომაც არა, ხომ? გლეხი დღეს არ უნდა იყოს მშიერი. ეს არის ჩვენი სირცხვილი, ეს არის, მე ვიტყოდი, ძალიან დიდი დანაშაული, არ მოვერიდები ამ სიტყვას, კატასტროფაა, რაც ხდებოდა ბოლო წლების განმავლობაში ქართულ ეკონომიკაში, ეს იყო აბსოლუტური ქაოსი და მიზანმიმართული დამანგრეველი პოლიტიკა.

რაც შეეხება ჩვენ მიერ წარმოებულ პოლიტიკას, მართლაც, დავიწყეთ რეალურად ეკონომიკის მშენებლობა და სწორად დარგვა ხის, ეკონომიკის გაჯანსაღება და რეალური საფუძვლის ჩაყრა. ჩვენ უკვე გვაქვს რეალური შედეგები ეკონომიკაში, რაც ბოლო ორი კვარტალია შეინიშნება განსაკუთრებით პოლიტიკური სტაბილურობის

დამკვიდრებიდანავე. ეს იმათ საპასუხოდ, რომ გასულ წელს იყო ეკონომიკური არასტაბილურობაო, და ინვესტორი არ დებს ფულს, სადაც არ არის სტაბილურობა.

ჩვენ უკვე ეკონომიკის რეალური ზრდა გვაქვს, ბოლო თვეების განმავლობაში გვქონდა 8-პროცენტიანი ზრდა. წელს გვაქვს მოსალოდნელი, იგივე მსოფლიო ბანკის შეფასებით, 6, 3 პროცენტი ზრდა.

**— თვლით, რომ წლის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავაც რჩება დასაქმების პრობლემა და თუ აქვს მთავრობას თუნდაც 2014 წლის კონკრეტული გეგმა?**

— ეკონომიკა, დასაქმება, ადგილობრივი წარმოების განვითარება — ეს არის მთავარი გამოწვევა. ეს ყველაფერი, რაც მოგიყევით, ინვესტიციები, მშენებლობები, სხვადსხვა პროექტის განხორციელება, ბუნებრივია, წარმოშობს ახალ სამსახურს. ახალ სამუშაო ადგილებს. ეს არის რეალურად ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

**— თვითმმართველობის რეფორმა მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით ბოლო დროის დისკუსიის მთავარი თემაა... ოპოზიცია საუბრობს იმაზე, რომ 50-პროცენტიანი ბარიერი იქნება მიზანშეწონილი. მაგრამ ხელისუფლებას ეს არ სურს, რადგან აქვს ერთგვარი მოლოდინი, რომ მისი კანდიდატი, საუბარია დავით ნარმანიაზე, ამ ბარიერს ვერ გადალახავს... იქნებ განგვიმარტოთ, რატომ არ სურს ხელისუფლებას 50-პროცენტიანი ბარიერი?**

— მინდა საზოგადოებას თავად განვუმარტო, რომ ეს იყო, მართლაც, რევოლუციური რეფორმა, რომელიც ჯერ კიდევ ბატონი ბიძინა ივანიშვილის დროს 12 თვითმმართველ ქალაქში დაიწყო. ჩვენ ავირჩევთ მერს 40-პროცენტიანი ბარიერით. მანამდე მე შეგახსენებთ, რომ მხოლოდ თბილისში ვირჩევდით მერს 30-პროცენტიანი ბარიერით. ეს ერთი, ანუ რეალურად ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გაბედა ისეთი რევოლუციური რეფორმის გატარება, როგორც ჩვენ გავატარეთ. ანუ 12 ქალაქში ჩვენ ავირჩევთ მერს 40-პროცენტიანი ბარიერით. და ეს ბარიერი აპრობირებულია სხვადასხვა ქვეყანაში. ეს პირველი, შემდეგი, აბსოლუტურად ყველა რაიონში ჩვენ გამგებელს 33 პროცენტით ავირჩევთ. და ჩვენ ადგილზე ვთავაზობთ, მათ თავად აირჩიონ საკუთარი გამგებელი. და თუ ეს გამგებელი არ გაამართლებს, მათ შეუძლიათ გამგებლის გადარჩევა და სხვა, უკეთესი გამგებლის არჩევა.

ამის შემდეგ ჩვენ პარტიებისთვის დავწიეთ ბარიერი 5-დან 4 პროცენტამდე . ხოლო პროპორციული სიით საკრებულოს წევრთა რაოდენობა 10-დან 15-მდე გავზარდეთ, რითაც ჩვენ სხვა პარტიებს და პირველ რიგში არასაპარლამენტო ოპოზიციას, რეალური საშუალება მივეცით, რომ მათაც გადალახონ ეს ბარიერები. რეალურად გამარტივდა მათთვის, და რომ მათაც შეიყვანონ საკუთარი წარმომადგენელი საკრებულოებში. რომელი ხელისუფლება გააკეთებდა ამას საქართველოში, რომელი იზრუნებდა ოპოზიციაზე? ჩვენ კიდევ მრავალი სიურპრიზი გვაქვს ოპოზიციისთვის.

დაფინანსებაზე მიდის მსჯელობა, იცით, ალბათ, რომ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დრო გამარჯვებული ბარიერგადალახული პარტიები იღებენ დაფინანსებას. ამჟამად გუნდში მიმდინარეობს კონსულტაციები, რომ აღნიშნული აქაც დავუშვათ. და გარკვეულ ბარიერგადალახულ პარტიებს მიეცეთ ერთჯერადი საკმაოდ სოლიდური და შემდეგ უკვე ყოველწლიური დაფინანსება. ეს არის რევოლუციური. ამის შემდეგ ადამიანები გამოდიან, ამბობენ, რომ ჩვენ არაფერი არ გავაკეთეთ და მოვერგეთ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემუშავებულ თვითმმართველობის რეფორმას და საარჩევნო სისტემას. თქვენ თუ გჯერათ ამის?

**— და იმ სკეპტიციზმს დავით ნარმანიასთან დაკავშირებით?**

— მე მინდა დაგიდასტუროთ, რომ დავით ნარმანიას დღეს უბრალოდ არ ჰყავს რეალური კონკურენტი. დათო არის უწესიერესი ადამიანი, ძალიან პატიოსანი, მშრომელი, ძალიან პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური. და მე მიმაჩნია და მჯერა შინაგანად, რომ მას არანაირი პრობლემა არ ექნება არც 40-პროცენტიანი, არც 50-პროცენტიანი ბარიერის, და არც 60-პროცენტიანი ბარიერის შემთხვევაში. ასე რომ, ამ მიმართულებით ვერ გავიზიარებ ამ სკეპტიკოსების აზრს. მათი ვალდებულებაა, რომ რაღაც ნეგატიური თქვან მასზე. დარწმუნებული ვარ, რომ დათო ნარმანია ღირსეულად გაიმარჯვებს და გახდება ღირსეული თბილისის მერი. და რაც მთავარია, ის იზრუნებს არა თავის პიარზე, არამედ რეალურად იზრუნებს თბილისის მოსახლეობაზე. ის აღარ მოპარავს თბილისი მოსახლეობას 50 მილიონს. ეს არის ყველაზე მთავარი.

**გამოხმაურება**

# მეგზევეები შეწუხებულნი ვართ!

**მე, თამაზ შალაკაძემ, როგორც საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარემ, მინდა საკუთარი მოსაზრება გამოვთქვა და საზოგადოებას ვამცნო ზოგიერთი რამ ამ ბოლო დროს შპს „სერპანტინის“ საქმიანობასთან დაკავშირებული უსაფუძვლოდ აგორებული მეტად უხერხული თემის შესახებ.**

საგზაო დარგში 60-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე ბევრის მომსწრე ადამიანი ვარ და მინდა გულახდილად გითხრათ, რომ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლამდე საავტომობილო გზების სამინისტროს სისტემაში რეგიონების მიხედვით მკვეთრად გამორჩეული რამდენიმე სამშენებლო სამმართველო საქმიანობდა, რომელთა შორის იყო კახეთის რეგიონში ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველო (МРСУ-9).

აღნიშნულ სამმართველოს ხელმძღვანელობდნენ დარგში გამორჩეული მაღალი რანგის სპეციალისტები, ბატონები: ალექსი სეხნიაშვილი, ალექსანდრე საგინაშვილი, ჰამლეტ სახიაშვილი, ხოლო პრივატიზაციამდე ბოლო ათწლეულში მისი ხელმძღვანელი იყო ბატონი გივი ზედელაშვილი, რომლის თავკაცობითაც მრავალი გზა და სახიდე გადასასვლელი თუ ხელოვნური ნაგებობა აშენდა კახეთის რეგიონში.

იგი იყო წამყვანი ორგანიზაცია არა მარტო საავტომობილო გზების სამინისტროში, არამედ იგი გვერდში ედგა ქ. თელავისა და მთლიანად რეგიონის ხელმძღვანელობას ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობაში. ამასთანავე აღნიშნულ სამმართველოს ხშირად იწვევდნენ რესპუბლიკის მასშტაბით ისეთი მსხვილი ობიექტების მშენებლობაზე, როგორიც იყო თბილისი-აეროპორტის გზა, რიკოთის უღელტეხილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გზები და სხვა.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლის შემდეგ აღნიშნული სამმართველო მოხვდა პრივატიზაციის ნუსხაში. და დღეს შპს „სერპანტინად“ წოდებული ორგანიზაცია შეისყიდეს სამმართველოს ყოფილმა თანამშრომლებმა, რომელთაგან წილის უმეტესობა ბატონი გივი ზედელაშვილისა იყო.

ბატონი გივის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული წილის მფლობელი გახდა მისი მეუღლე.

თავის დროზე ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს და ამჟამად შპს „სერპანტინს“ ჰქონდა მძლავრი ტექნიკური ბაზა, სამშენებლო მასალების კარიერები, ორი ასფალტ-ბეტონის ქარხანა, რკინაბეტონის კონსტრუქციების დამამზადებელი პოლიგონი და სხვა. აქ შრომობს მუშამოსამსახურეთა მთელი დინასტიები. და ჩემს გაკვირვებას იწვევს არა მხოლოდ უსაფუძვლო ბრალდებების ფაქტი, არამედ ისიც, — როგორ შეიძლებოდა რომ მას წაეგო თერთმეტიდან შვიდი ტენდერი, მით უმეტეს — კახეთის რეგიონში.

უკანასკნელ წლებში შესყიდვების სააგენტომ დანერგა ტენდერების ელექტრონული სახით ჩატარების პრაქტიკა, რაც აბსოლუტურად გამორიცხავს ე. წ. „გარიგებების“ შესაძლებლობას, ხშირად მოგებას ვერ ახერხებენ ღირსეული კონკურენტები სხვების მიერ შეუსაბამოდ დაბალი ფასების შეთავაზების გამო. აღნიშნული საკითხი ნამდვილად მოითხოვს გაანალიზებას და დახვეწას.

ბოლო წლებში საავტომობილო გზების დეპარტამენტში ხშირი იყო ახალი კადრების დანიშვნა და გადაადგილება. ტრადიციულად სატენდერო კომისიას თავმჯდომარეობდა ხელმძღვანელის ერთ-ერთი მოადგილე, დღეს ეს ფუნქცია აკისრია ბატონ იოსებ ქადაგიშვილს, რომელიც მთელი სერიოზულობითა და დიდი პასუხისმგებლობით უძღვება დაკისრებულ მოვალეობას. და რაოდენ დასანანია, რომ მცდარი ინფორმაციის საფუძველზე საჯაროდ შეურაცხყვეს დარგის ხელმძღვანელი ახალგაზრდა კაცი.

**თამაზ შილაკაძე,**
**საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე,**
**საქართველოს დამსახურებული ინჟინერი,**
**პროფესორი,**
**ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.**

**უნდობლობა**

# სამართლიანი არჩევნები რეპრესიული საარჩევნო კოდექსით?!

## ოპოზიციას ხელისუფლების არ სჯერა

**საარჩევნო კანონზე მსჯელობა გრძელდება... მას თან ახლავს პოლიტიკური განცხადებები, რომელიც მოქმედ ხელისუფლებას ნამდვილად არაკომფორტულ ვითარებაში აყენებს. ამ პროცესში ჩართულმა ეუთოს დემოკრატიულმა ინსტიტუტმა და ადამიანის უფლებების ოფისმა სცადეს სასტუმრო „რედისონში“ მრგვალ მაგიდასთან მოეწვიათ ხელისუფლება, ოპოზიცია და მესამე სექტორი — და მათთვის რჩევები მიეცათ, თუმცა, საკითხავია, რა გამოუვიდათ.**

პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **მანანა კობახიძემ** უცხოელებს განუცხადა, რომ ხელისუფლების სულისკვეთება არის კანონის გაუმჯობესება. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა კი აღნიშნეს, რომ საარჩევნო კანონის დახვეწა ხელისუფლებას გაუჭირდება, ვინაიდან მას ამ საკითხზე სტრატეგიული ხედვა არ გააჩნია. რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს, ისინიც იმავეს იმეორებენ. მეტიც, **ჩიორა თაქთაქიშვილმა** აღნიშნა, რომ **„სახელმწიფოს არა აქვს ნება, შეასრულოს ფუნდამენტური ცვლილებები. წინა არჩევნების შემდეგ ვითარება უარესობისკენ შეიცვალა, ხოლო ხელისუფლება დაადგა ნაციონალური მოძრაობის განეიტრალების გზას“**. ის მაქსიმალურად ეცადა მოხსენებისთვის განკუთვნილი დრო პოლიტიკური განცხადებებისთვის დაეხარჯა და უცხოელებისთვის ეამბნა, თუ რა უსამართლო პოზიციაში იმყოფება საპარლამენტო ოპოზიცია. OSCE/ODIHR-ის ხელმძღვანელის მოადგილემ დონალდ ბისონმა რამდენჯერმე სცადა თაქთაქიშვილისთვის ენიშნებინა, რომ დროს არამიზნობრივად იყენებდა, თუმცა ნაციონალი ქალბატონის გაჩერება ძნელი აღმოჩნდა. მანანა კობახიძის პასუხი ასეთი იყო: „ჩიორა, თავის დროზე თქვენ რომ განგეხორციელებინათ ძირეული ცვლილებები ვინმე ხელს გიშლიდათ?!“ **ხათუნა გოგორიშვილი კიდევ უფრო შეუვალი აღმოჩნდა და ხელისუფლებას წარსული შეახსენა: „ეს თქვენ არ მოგწონდათ ჩვენ მიერ შემუშავებული „მახინჯი“ სისტემა. ცვლილება არ იყო ჩვენი მოთხოვნა, ეს თქვენი დაპირება იყო. ახლა კი რატომღაც ამ კანონში სულ რაღაც სამი ცვლილება შეიტანეთ. ერთი ეხება საარჩევნო ბარიერის აწევას, მეორე — პროპორციული სიის შემადგენლობის გაზრდას და საარჩევნო დროის გამოყენების საკითხს, ესაა და ეს“.**

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გოგორიშვილის სიტყვის მოსმენა არც ისურვა და შეხვედრა დატოვა. იქამდე კი განაცხადა, რომ უწყებათაშორისი კომისია, რომლის ხელმძღვანელიც თავად გახლავთ, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ადგილობრივ არჩევნებზე დემოკრატიული გარემოს არსებობა მეტად იგრძნობოდეს. **„ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის საარჩევნო სიის დაზუსტება,** — აღნიშნა მან, — **ხოლო ბარათიზაცია ამის საფუძველია. 27 თებერვალს იუსტიციის სამინისტრო სიების გაორებების აღმოსაფხვრელად პროექტის პრეზენტაციას გამართავს. შეიძლება აქ მყოფ უცხოელებს გაუკვირდეთ კიდეც, მაგრამ პირადი ბარათის ასაღებად საჭირო 33 ლარი საკმაოდ დიდი თანხაა ჩვენი მოსახლეობისთვის. ამიტომაც დროდადრო ვმართავთ აქციებს ელექტრონული პირადობის მოწმობის უფასოდ გასაცემად“.**

**მამუკა კაციტაძემაც** უცხოელებს შესჩივლა, ხელისუფლება უგულებელყოფს 12 პარტიის მიერ შეთავაზებულ ყველა წინადადებასო: **„ჩვენ წარვუდგინეთ ჩვენი ხედვა თითქმის ყველა ცვლილებასთან დაკავშირებით, თუმცა, მხოლოდ ერთზე გვეთქვა უარი, დანარჩენზე პასუხი არც მიგვიღია. იმ კოდექსში, რომელიც ახლა წარედგინა პარლამენტს, ჩვენი არც ერთი ხედვა გათვალისწინებული არ არის“**, — აღნიშნა მან.



ხელისუფლების წარმომადგენლები კი რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლილებაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლებსაც წარმატებულად მიიჩნევენ. ისინი წინ გადადგმულ ნაბიჯად აფასებენ იმას, რომ 12 თვითმმართველი ქალაქი აირჩევს თავის მერსა და გამგებელს. ბარიერი 30 პროცენტიდან 40 პროცენტამდე გაიზრდება, ხოლო პარტიების ბარიერი 4 პროცენტამდე დაიწევს. გაიზრდება პროპორციული სიის შემადგენლობა 10-დან 15-მდე. ცვლილებები შევა პარტიების დაფინანსების საკითხში. მთელი რიგი რეგულაციებისა შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის პირებს, გენდერული თანასწორობის შესახებ არსებულ პრობლემებს. საგრძნობლად არადისკრიმინაციული იქნება სარეკლამო დროის გამოყენება, მათ შორის არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიებისთვისაც... მსჯელობა გრძელდება.

თავის შენიშვნები აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მათი თქმით, 2012 წლის ნოემბრიდანვე ითხოვდნენ ამ პრობლემებზე მუშაობას, მაგრამ რატომღაც ხელისუფლებამ საარჩევნო კოდექსზე მსჯელობა დააგვიანა.

**„კარგია პირდაპირი გზით არჩეული მერი, მაგრამ ცუდია გადარჩევის წესი. მაგალითად 15-20 ათასი ხმით არჩეული მერი შეიძლება საკრებულოს 15 წევრმა ისე, გადაირჩიოს, რომ არგუმენტების ჩამოყალიბება არც მოუწევს. ასევე ცუდია, რომ საინიციატივო ჯგუფებს შეიძლება აეკრძალოთ დამოუკიდებელი კანდიდატის დასახელება. ჩნდება ეჭვი, ასეთი კანდიდატები ხომ არ აშინებენ ხელისუფლებას?** — იკითხა **კახა კოჟორიძემ,** საია-ს ხელმძღვანელმა.

მანანა კობახიძე მერის გადარჩევის საკითხს ასე გამოეხმაურა: მართალია, თვითმმართველი თემი აირჩევს გამგებელს, მაგრამ თუკი იგი არ შეასრულებს თავის უფლება-მოვალეობას, 4 წელიწადი უნდა ელოდოს? საკრებულო გადაირჩევს მას, თუმცა კვლავ ექნება არჩევნებში მონაწილეობის უფლება, თემი ან ისევ აირჩევს მას, ან არაო! სწორედ ამას მოჰყვა **ჯონდი ბაღათურიას** რეპლიკა: **„პარლამენტი თუ ასცდა ხალხის მოთხოვნას და 99 პროცენტით დაპირებებს ვერ ასრულებს, შეიძლება გადავირჩიოთ თუ არა?! საარჩევნო კოდექსი რეპრესიულია და ვატყობ, ისევ მოგვიწევს ქუჩაში დგომა!“ — დასძინა მან.**

**თეა მოსია**

# ჩვენი ერი მართლმადიდებლობის გარშემო უნდა გაერთიანდეს!

**ქართველი ერის ერთ-ერთ გამამთლიანებელ ძალას — მართლმადიდებელ სარწმუნოებას ბევრი ებრძვის, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ამოფარებულები არიან სხვა სარწმუნოებას. ისინი მართლმადიდებლობასთან მიმართებაში პირდაპირ და დაუმალავად ქადაგებენ თავიანთი რელიგიური მრწამსის ჭეშმარიტებასა და პროგრესულობას. ამით ცდილობენ, შეასუსტონ ქართველი ერის სულიერება, რომელიც ეფუძნება მამულს, ენას, სარწმუნოებას, ერის ადათ-წესებს, კულტურას, ტრადიციებს. სამომავლოდ კი გეგმავენ საქართველოში თავიანთი სარწმუნოების დამკვიდრებას და ამ გზით ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ დაქუცმაცებას, ავტონომიების ან დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენებას, ან პირდაპირ დაპყრობას.**

ჩვენ სახელმწიფოს გამოაცალეს აფხაზეთი, სამაჩაბლოს უდიდესი ნაწილი. არსებულ ვითარებაში თავისი უარყოფითი წვლილი მიუძღვის ჩვენს ერს, რომლის კონსოლიდაცია დღემდე ვერ მოხერხდა მისი რელიგიური და პოლიტიკური დაქსაქსულობის გამო.

აღნიშნულს უშუალოდ ხელს უწყობს 2011 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც **მართლმადიდებლური რელიგიის გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭათ სხვა დანარჩენ ოფიციალურად დარეგისტრირებულ რელიგიურ კონფესიებს, მართლმადიდებლობასთან თანასწორუფლებიანობის მიზნით.**

მიღებული საკანონმდებლო გადაწყვეტილება ავალდებულებს სახელმწიფოს ამ რელიგიური კონფესიების ყოველწლიურ დაფინანსებას (2014 იანვარში საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ყოველწლიურად დააფინანსოს კათოლიკური, სომხური, იუდეური და მუსლიმანური კონფესიები), რაც დამატებით ხელს შეუწყობს მათი რელიგიური საქმიანობის გაძლიერებას. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს და საპატრიარქოს შორის თავის დროზე გაფორმებულ კონკორდატს, რომელიც სამართლებრივად კონსტიტუციის შემდეგ მოდის და სამოქალაქო კოდექსზე მაღლა დგას. გამოკვეთილია კონკორდატისა და ხელისუფლების საკანონმდებლო ცვლილების სამართლებრივი შეუსაბამობა, რაც დაუყოვნებლივ ავალდებულებს ქვეყნის ამჟამინდელ ხელისუფლებას, მიიღოს იურიდიულად აუცილებელი და სამართლიანი გადაწყვეტილება ამ ე.წ. ცვლილების გაბათილების თაობაზე.

**ჩვენი ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ არის საქართველო, რომ ის შეიქმნა ქართველი ერის მიერ, რომლის უმეტესობა ქრისტეს აქეთ პირველი ათასწლეულის მეოთხე საუკუნიდან არის მართლმადიდებელი. ამ რწმენამ გადაარჩინა ქართველი ერი და საქართველო, როგორც სახელმწიფო და ის დღემდე არსებობს.**

**ასე რომ არ ყოფილიყო, ქართველი ერი გადაგვარდებოდა. მხოლოდ ისტორიულ წარსულში „ქექვის“ პროცესში ვინმე დაინტერესებული პირისთვის თუ გახდებოდა ცნობილი, რომ თავის დროზე არსებობდა საქართველო და ქართველი ერი. მსგავსი მაგალითი მსოფლიოს ისტორიაში არაერთია.**

სწორედ ეს არ უნდა დავუშვათ ქართველებმა. საქართველოში ათასწლეულების მანძილზე ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომელთა წინაპრები ქართველებმა თავის დროზე შეიფარეს. არც ერთი მათგანი არ იჩაგრებოდა, არ იდევნებოდა სარწმუნოების გამო. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული პოზიცია სამართლიანია და მისაღებია საქართველოს ყველა მოქალაქისთვის მისი ეროვნების მიუხედავად.

ვიხელმძღვანელე მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული სამართლიანობის და თანასწორუფლებიანობის პრინციპით და მივმართე რესპონდენტებს, რათა საზოგადოებისთვის ნათელი გამეხადა მათი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

**სოსო (იოსებ) მანჯავიძე, პოლიტიკური ორგანიზაცია „პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი:**

— ჩემი სამშობლო საქართველოა. ვამაყობ იმით, რომ ქართველი ვარ და წარმოვადგენ საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეს. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს არის ჩემი, როგორც ადამიანის, მთავარი მამოძრავებელი ძალა და ღირსება. მხოლოდ ამის შემდეგ მივიჩნევ ჩემს თავს ქართველ პოლიტიკოსად.

ჩემთვის საქართველო აღიქმება, როგორც ქართველი ერი. ამით მე არანაირად არ ვაკნინებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეებს — ეროვნებით არაქართველებს. ეს იმიტომ, რომ ყოველი მათგანი ჩემს ქვეყანაში, როგორც მისი მოქალაქე, ქართველებთან ერთად სარგებლობს კონსტიტუციის საფუძველზე რეალური და არა მოჩვენებითი თანასწორუფლებიანობით. ქართველები ათასწლეულების მანძილზე გამოირჩევიან ტოლერანტობით.

მუსლიმანობის 400 წელმა ქართველი კაცის სულისკვეთება, ტრადიციები, კულტურა, ადათ-წესები მნიშვნელოვნად ვერ შეცვალა.

**მაგრამ, რაც დრო გავა, რელიგიური მრწამსი ბევრად უფრო მნიშვნელოვან გარდაქმნას მოახდენს ქართველი ადამიანის სულისკვეთებაზე. ეს საკამათო არ არის. შედეგად მივიღებთ იმას, რასაც ვხედავთ თურქეთში მცხოვრები ქართველების მაგალითზე — მათი გვარები და სახელები თურქულია და მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ახსოვს თავისი ისტორიული გვარი, მით უმეტეს, კულტურა, ტრადიციები, ადათ-წესები და უფრო მეტიც — სულისკვეთება.**

ილია მართლის მიმართვა ქართველებისთვის მამულის, ენის, სარწმუნოების თაობაზე გვაფრთხილებს, რომ ქართველთა ერთობა და სახელმწიფოს ერთიანობა განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ მამულის, ენის და სარწმუნოების ერთობით.

**ჩვენი ერისთვის ილია მართლის ეს სიტყვები გზამკვლევი უნდა გახდეს, რათა ერმა სამომავლოდ იარსებოს. მხოლოდ მართლმადიდებლობა განავითარებს ქართველ ერს და მის სახელმწიფოებრიობას, რასაც მოჰყვება მისი ამჟამად წართმეული ტერიტორიების დაბრუნება.**

**მამა ვლადიმერ ვახტანგაძე, წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური:**

— ქართველი ერის კონსოლიდაცია, რაც ჩვენ წმიდა ილია მართალმა გვიანდერძა, საჭიროებს მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთობასა და ერთიანობას. ნებისმიერი ერის რელიგიური გაორება, მით უმეტეს, გასამება და ა.შ. გამოიწვევს მის დასუსტებას. სწორედ ამიტომ ქართველი ერის გაერთიანება სასიცოცხლოდ აუცილებელია მართლმადიდებლობის გარშემო.

მოდით, გავიხსენოთ ჩვენი ერის წარსული. რა იყო ჩვენი სახელმწიფოს სიძლიერის მაჩვენებელი? ის, რომ ქართველთა უმრავლესობა იყო მართლმადიდებელი, იმ ქართველს კი, რომელმაც მიიღო მაჰმადიანობა თათარს უწოდებდნენ, ქრისტიან მონოფიზიტს — სომეხს, კათოლიკს, მიუხედავად იმისა, რომ იყო ქართველი ან სხვა ეროვნების — ფრანგს, იუდეველს — ებრაელს. ეს იმიტომ, რომ მათი ცნობიერება მართლმადიდებელი ქართველების ცნობიერებისგან განსხვავდებოდა.

მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოში რომელიმე მათგანი, ეროვნებით ქართველი ან არაქართველი, რამენაირად იჩაგრებოდა მართლმადიდებელი ქართველების მხრიდან.



**ჩვენი ერის ერთიანობას, საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობას და მის სიძლიერეს, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ქართველთა „მამულის, ენის, სარწმუნოების“ ერთიანობა. ეს კი საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ქვეყნის სხვა ეროვნების მოქალაქეებზე, ათასწლეულების მანძილზე არანაირად არ აისახებოდა უარყოფითად.** ასეა აწმყოში და ასე იქნება მომავალში. ქართველის მამული არის საქართველო — მისი განუყოფელი ტერიტორიები, რომელთა გარკვეული ნაწილი წართმეულია. ქართველის მშობლიური ენა არის ქართული, სარწმუნოება კი მისი უმრავლესობისთვის არის მართლმადიდებლობა. არ ვკარგავ იმედს, რომ დადგება დრო, როცა ყველა ქართველის სარწმუნოება იქნება მართლმადიდებლობა და ეს იმიტომ, რომ სწორედ მასთან არის შერწყმული ჩვენი ერის ადათ-წესები წარსულიდან დღემდე, ტრადიციები, კულტურა, ცნობიერება, რითიც ამაყობს და განსხვავდება ქართველი ერი სხვა ერებისგან.

**არქიმანდრიტი ბართლომე ფირცხალაიშვილი, ფერისცვალების მამათა მონასტრის წინამძღვარი:**

— საქართველოში ათასწლეულების მანძილზე ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის ადამიანები, არც ერთი მათგანი არასდროს არ იჩაგრებოდა თავიანთი რელიგიური მრწამსის ან ეროვნების გამო.

ხაზგასმით აღვნიშნავ იმასაც, რომ არც ერთ ქართველ მუსლიმანს მაჰმადიანობის გამო ქართველი მართლმადიდებლებისგან არ უგრძვნია, რომ იგი არ არის ქართველი. საქართველოში რელიგიური ტოლერანტობა ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში მუდამ ახასიათებდა.

ცნობიერების განსხვავება ერის ერთიანობას ხელს უშლის. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სომხეთის მოსახლეობის 99 პროცენტი ქრისტიანი მონიფიზიტია, აზერბაიჯანის მოსახლეობის უმრავლესობა შიიტი მუსლიმანია, დიდ ბრიტანეთში ანგლიკანური ეკლესიის მთავარი არის მონარქი, გერმანიაში ხელისუფლება განსაკუთრებით ზრუნავს ლუთერანული ეკლესიის საკეთილდღეოდ. სწორედ ამიტომ საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ერთი რელიგიური აღმსარებლობის — მართლმადიდებლობის დედაეკლესიით აღიარება ქვეყნის სიძლიერის გარანტს წარმოადგენს. რაც შეეხება ქართველ მუსლიმანებს, კათოლიკებს, ბაპტისტებს და ა.შ. ისტორიული სამართლიანობის აღდგენა მოხდება მაშინ, როცა ისინი თავისი ნებით მიიღებენ მართლმადიდებლობას“.

**სრულიად საქართველოს რაბინი აბეშაი ბათაშვილი:**

— ისრაელში სახელმწიფო რელიგიად ოფიციალურად აღიარებულია იუდაიზმი. იუდაიზმმა, როგორც სარწმუნოებამ, ისტორიულად მრავალი ათასწლეულის განმავლობაში შეძლო ებრაელი ერის გადარჩენა, ერთიანობა და მისი მაღალი სულიერების და ზნეობრიობის შენარჩუნება.

ისრაელის მოსახლეობას წარმოადგენენ არა მარტო ებრაელები. იქ არ იკრძალება ქრისტიანული და მუსლიმანური სარწმუნოებები, ამავე დროს ამ რელიგიების რაიმე სახით აგიტაცია-პროპაგანდა მიუღებელია. არც ერთ ებრაელს აზრად არ მოუვა, თავის სარწმუნოებას-იუდაიზმს უღალატოს და სხვა რელიგიური სარწმუნოების მიმდევარი გახდეს.

**ებრაელი იბადება ებრაელად, ის არასოდეს ყოყმანობს იმის თაობაზე, იყოს თუ არა ებრაელი. სწორედ ამას ვუსურვებ ქართველ ერს, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც ტოლერანტი, მშვიდობის მოყვარე ერი.**

**მირ ჰუსეინ გუსეინოვი, „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სამმართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი აღმასრულებელი დირექტორი:**

— მე აზერბაიჯანელი მუსლიმანი ვარ. მაგრამ, რომ ვყოფილიყავი აზერბაიჯანელი ქრისტიანი და მცოდნოდა იმის შესახებ, რომ ჩემი წინაპრები ძალით, მოტყუებით ან მოსყიდვით გააქრისტიანეს, საჭიროდ მივიჩნევდი აუცილებლად მიმეღო ისლამი. ამით მე პატივს ვცემდი ჩემს წინაპრებს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე საქართველოში, როგორც მუსლიმანი და სასულიერო პირი, მართლმადიდებლობას ვებრძვი. პირიქით, მივესალმები საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანებს, და მათ შორის, რასაკვირველია, ქართველთა უმრავლესობას — მართლმადიდებლებს. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მუსლიმანს კი ვუქადაგებ, რომ ყოველთვის ესიყვარულონ ქართველებს, რომლებმაც ისტორიულად შეინარჩუნეს სახელმწიფოებრიობა თავისი რელიგიური მრწამსით — მართლმადიდებლობით.

**მე — საქართველოს აზერბაიჯანელი მუსლიმანი არ ვეთანხმები იმას, რომ ამა თუ იმ მუსლიმანური სარწმუნოების ქვეყნებმა, რომლებიც ამოფარებულები არიან თავიანთ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზნებს, დაგვიწყონ ე.წ. რჩევა-დარიგების მოცემა იმის თაობაზე, თუ როგორ ვიცხოვროთ ქართველებთან ერთად საქართველოში. ჩვენს ერთადერთ გზას წარმოადგენს მშვიდობიანი ცხოვრება, როგორც ქართველებთან, ისე ქვეყნის სხვა ეროვნების მოსახლეობასთან, საყოველთაო ურთიერთპატივისცემა და ერთმანეთის სიყვარული.**

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

ოფიციალური ძრთამეგი უსაქმურებს

# ზღაპრული ხელფასები ერთგულებისთვის

**პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებისგან მოითხოვა პასუხი, რატომ აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და სახელმწიფო შპს-ს თანამშრომელთა დიდ ნაწილს არარეალურად მაღალი ხელფასი.** პრემიერი გამოვიდა ინიციატივით, დროულად მოხდეს ხელფასის საკითხისადმი რაციონალური მიდგომა და სწრაფად აღმოიფხვრას წლების განმავლობაში არსებული მანკიერი დამოკიდებულება. საკითხის შესწავლა შესაბამის უწყებებს უკვე დაევალათ, რომლებმაც პირველადი დოკუმენტი წარადგინეს.

**„პრემიერის დავალების შესაბამისად, დაზუსტდება კიდევ ცალკეული დეტალები, რის შემდეგაც მუშაობა დაიწყება ოპტიმიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სსიპ-ებისა და სახელმწიფო შპს-ების ფინანსები საჯარო ფინანსების შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია რაციონალური მართვა, რათა ეკონომიის შედეგად წარმოქმნილი თანხები სახელმწიფომ სხვა მიმართულებით გამოიყენოს“,** — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ეკონომიკის ექსპერტები თვლიან, რომ პრემიერმა სწორი, თუმცა, დაგვიანებული გადაწყვეტილება მიიღო. მათივე განმარტებით, ეს სფერო, ზოგადად ფინანსების თვალსაზრისით, სახელმწიფო კონტროლიდან იყო გასული. ეკონომიკის ექსპერტი პაატა კოღუაშვილი მიიჩნევს, რომ ხელფასებს შორის ჰარმონია დაცული უნდა იყოს.

**„პრემიერი არაა ვალდებული, რომ რაღაც პარამეტრები დაასახელოს. მან გასცა დავალება და ფინანსთა სამინისტრომ უნდა მოამზადოს წინადადება. რამხელა იქნება ეკონომია, ვერ გეტყვით, რომ სადმე რამე საკითხში გადამჭრელი როლი მიიღოს. უბრალოდ, ეს არის მორალურად და ზნეობრივად სწორი ნაბიჯი“,** — ამბობს პაატა კოღუაშვილი.

ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე თვლის, რომ პრემიერის მხრიდან ამ საკითხის დასმა ძალიან კარგია. მისი თქმით, ერთი მხრივ, ხელისუფლება ცდილობს თანხების გარკვეული ოპტიმიზაცია მოახდინოს, მეორეს მხრივ, სისტემა შედეგზე ორიენტირებული გახადოს, რაც, მისი თქმით, სწორი გათვლაა.

**„ეს თემა პოლიტიკურად მოტივირებული იყო სწორედ წინა ხელისფუფლების დროს, როცა ამ სიპებში და მარეგულირებებში თანამდებობზე პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა ადამიანების დანიშვნა. მმართველი პოლიტიკური ელიტა სწორედ მაღალი ხელფასით და მაღალი პრემიით იხდიდა გარკვეულ საზღაურს მათი ერთგულების სანაცვლოდ. ამ თანამდებობაზე „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაახლოებული პირები ინიშნებოდნენ, რომლებსაც გარკვეული წვლილი ჰქონდათ შეტანილი „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ წარმატებაში“,** — ამბობს კალანდაძე.

### ბევრ ჩინოვნიკს ჯიბეებს შეუთხელებენ



მისივე თქმით, ეს იყო გარკვეული მანკიერი პრაქტიკა, როცა სახელმწიფო სიპის და სახელმწიფოს ქოლგის ქვეშ მყოფი სტრუქტურის მაღალი თანამდებობის პირებს გაცილებით მეტი ჰქონდათ და აქვთ ხელფასი, ვიდრე მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს.

**„არაფერს ვლაპარაკობ იმაზე, რომ ეკონომიური თვალსაზრისით ეს იყო არასწორი მიდგომა. სიპის ხელმძღვანელი თავისი დატვირთვიდან გამოდინარე, ვერც კი გაუტოლდება მინისტრის პასუხისმგებლობას და დატვირთვას. შესაბისად, ეს საკითხი იყო გადასახედი. მეტსაც გეტყვით, დღევანდელმა ხელისუფლებამ დაიგვიანა კიდეც, ეს საკითხი ადრე უნდა დასმულიყო.**

**„მთავარი ის არაა, რომ პოპულისტური მიზნით ავდგეთ და ხალხს ხელფასები მოვაკლოთ. არამედ უნდა ვიფიქროთ ეკონომიკის განვითარებაზე. მე ვფიქრობ, რომ ამ თემაზე საგნობრივად რომ ვისაუბროთ, საუბარი უნდა იყოს კონკრეტულ ორგანიზაციებზე და კონკრეტულად საუბარი უნდა იყოს ხელფასებზე... ის, რაც წინა ხელისუფლებამ გააკეთა, ეს იყო საშინელი დიფერენციაცია ორგანიზაციებსა და სამინისტროებს შიგნით. როდესაც გატარებული იყო წითელი ხაზი და ამის ზემოთ ადამიანებს განსხვავებული ხელფასები ჰქონდათ, თითქმის 10-ჯერ მეტი, ვიდრე სხვა ამ ხაზის ქვემოთ მდებარე თანამშრომლებს. ეს არის სწორედ ცუდი მიდგომა და პრინციპში, დიფერენციაცია ასეთი მკვეთრი არ უნდა იყოს. მაგრამ, ამ კონკრეტულ საკითხზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერჯერობით არ ვიცით რომელი ორგანიზაციები ჰქონდა პრემიერს მხედველობაში“,** — აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე.

**თამთა ქარჩავა**

დახმარება ფერმერებს

# ჯერ მიწა უნდა მოიხნას...

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოსახლეობის დახმარების გაწევის შარშანდელ პოლიტიკას განაგრძობს. წლეულს „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ ქვეყანაში რამდენიმე დღის წინათ ქვემო ქართლიდან დაიწყო, რომლის ფარგლებში დახმარებას 87 ათასზე მეტი ბენეფიციარი მიიღებს.**

ამჟამად გლეხობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, შრომატევადი და მეტ ხარჯთან დაკავშირებული სამუშაო მიწის მოხვნაა, პროექტით გათვალისწინებული დახმარებაც ახლა სწორედ მასზეა გამახვილებული.

ზემოაღნიშნული პროექტის ბიუჯეტი 90 მილიონი ლარია, მისი თანადამფინანსებელი, სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი იქნება, განხორციელებას კი ა(ა) იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს.

პროექტის ფრთაშესხმის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისას, ბენეფიციართა სიების დასაზუსტებლად დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ წარდგენილი სიების დაზუსტებისა და აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ ქვეყნის მასშტაბით საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში დახმარება დაახლოებით 800 ათას მცირემიწიან ფერმერს, იმ გლეხებს გაეწევა, რომელთაც საკუთრებაში, ფაქტობრივ მფლობელობასა თუ სარგებლობაში 1,25 ჩათვლით ჰექტარის ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები აქვთ, რომლებზეც ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურები მოჰყავთ.

მიწის ნაკვეთების ფართობებისდა მიხედვით მათი მფლობელები ორი კატეგორიით დაიყოფიან, და სარგებელსაც ამის შესაბამისად მიიღებენ. ეს კატეგორიებია, კერძოდ: ა) ფერმერები, რომლებიც 0,25 ჰექტარამდე ფართობის მიწის ნაკვეთები აქვთ; ბ) ფერმერები, რომლებიც 0,25-დან 1,25 ჰექტარის ჩათვლის ფართობის მიწის ნაკვეთები აქვთ.

აღსანიშნავია, რომ „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ ბენეფიციარები წლეულს ორი ტიპის ბარათებით ისარგებლებენ. კერძოდ, ა) ნიადაგის ხვნის სამუშაოებისთვის სასოფლო-სამეურნეო ბარათები დარიგდება, რომელიც 2013 წლის ანალოგიური პროექტით გათვალისწინებული ბარათის მსგავსი იქნება და ბ) სასოფლო-სამეურნეო საქონლის მისაღებად, შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს ფერმერები საბანკო პლასტიკური ბარათებით, ეგრეთ წოდებული აგრობარათებით ისარგებლებენ.

აგრობარათებმა ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიმწოდებლებთან ურთიერთობები უნდა გაუადვილონ, რომელთა გამოყენებით ფერმერებს სასურველი პროდუქციისა და მომსახურების ნაწილნაწილ, მათთვის სასურველ დროსა და სხვადასხვა მიმწოდებლისგან მიღების შესაძლებლობა ექნებათ.



საგულისხმოა, რომ მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოებს, რომლებიც ნიადაგის მოხვნისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურებას ითვალისწინებს, შპს „მექანიზატორი“ და 117 კონტრაქტორი შეასრულებს.

თებერვალში დაწყებული ეს პროექტი აგვისტოში დასრულდება.

**ოთარ ტურაბელიძე**

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები




● **ეს მერია-საკრებულოს „კინკლაობა“ უკვე ამაზრზენი გახდა!**

**ან რას ვერ ამტკიცებენ, ან რის დამტკიცებას ითხოვენ, ან ვის უმტკიცებენ „ერთგულებას“ ეს ცხრა მთავრობას გადამხტარი ხალხი, ან რას მიპიარებენ ყოველ ცისმარე დღეს ტელევიზიით?**

**ორივე მხარე ამაზრზენი ხართ თქვე უსინდისოებო!**

**სევდია-უგულავების და კოკი-შიხიაშვილების საჯილდაო ქვა გავხდით თბილისელები?!**

**აგერ ორიოდ თვეში არჩევნებია, თქვენც კარგად იცით და ჩვენც რომ არც ერთი თქვენგანი იქ აღარ მოხვდება. რა შარვლის ტოტებს ათამაშებთ და „სამართლიან ერთგულებას“ უმტკიცებთ ვიღაც-ვიღაცებს?! სიფათებზე გეტყობათ ვინც ხართ და რაც ხართ!**

**თუ რამე განსახილველი გაქვთ, დაჯექით და ერთმანეთში გაარჩიეთ, ერთი ფუძიდან მოდიხართ ყველანი, რას მიტელევიზორებთ თქვენს თამაშს, თავმოყვარეობის ნატამალი მაინც არ გაგაჩნიათ?!**

**ხტფუი თქვენი!!!!**

● **ეხლა უკვე ოოოოოოო!!!!!!!!! ეს, სერიოზული საბოტაჟებია უკვე... ეხლა გაზი გაითიშა..... ოცნება, შენ რა დორბლი გდის????? ვერ გავიგე, როდემდე შეიძლება ამის მოთმენა. თუ ნაც.ბანდის მოვლის თავი არა გაქვთ, თქვით და ხალხი მიხედავს.... ეგეთი არაფერი გამიგია, დღე არ გავა რამე ჩეპე არ მოახდინონ, ამ ნაბიჭვარმა ნაც.ბანდამ.**

● **რომელიმე ერი თუ იცით, ერთი დიდგორი მაინც რომ არ ქონოდა ისტორიის მანძილზე? ტეხავს რა ათი საუკუნის წინ მოგებული ომით ბლატავი!**

● **კგბეშნიკების ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წვდომას მედიაზე, ანუ პროპაგანდას. ამიტომ ეს საშუალებები დახურული უნდა იყოს იმ ჯგუფებისთვის, ვინც ამხელს მათ და ბოროტებასთან შესაბამის დავალებებს არ ასრულებს!**

● **„2014-02-13 11:44:23 ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში გასული პოპულარული თურქული სერიალების, ფილმებისა და მულტფილმების „გადახვევის რეჟიმში“ ყურება იზღუდება.“ პოპულარულად და ყველანაირ რეჟიმში, ერთ (უკაცრავად) ადგილას გაიკეთოს „მაესტრო“-მ, თავისი თურქული სერიალები, ფილმები და მულტფილმები!**

● **ისე დავბერდი, ვალენტინობაზე ვალენტინა ტერეშკოვას მეტი აღარაფერი მახსენდება. . . ეჰჰჰ**

● **ყველაფერი რო გავიხადოთ და ფეხებით წავიდეთ - ვერ გამოვძვრებით ამ მდგომარეობიდან?**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №217

# საოჯახო რელიკვიები საზოგადოებისთვის

**არაერთმნიშვნელოვანი მოგონებების, უაღრესად საინტერესო დოკუმენტების კრებული, რომელიც ცნობილი კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის შალვა რადიანის არქივის მიხედვით მომზადდა (შემდგენელი – მერი გომართელი-რადიანი, რედაქტორი – ცისანა გენძეხაძე), გამოსაცემად მზად არის და ქართული ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის განსაკუთრებულად ღირებულია. აქ მოხსენიებულია არა მარტო ეპოქის ცნობილი სახეები, არამედ მოცემულია საერთო ატმოსფერო, დაძლეული და დაუძლეველი პრობლემებით, დროის ნიშნებით...**

**დღეს „კვირაძალის საკითხავი“ გთავაზობთ ამონარიდებს ჯერ დაუსტამბავი წიგნიდან. პუბლიკაცია მოამზადა შალვა რადიანის მეუღლემ მერი გომართელმა-რადიანმა.**

შალვა რადიანი ხშირად მიმართავდა ხოლმე თავის თანამედროვე მწერლებს დაეწერათ საკუთარი ავტობიოგრაფია. მაგალითად:

*„1944 წ. იოსებ გრიშაშვილს ვთხოვე დაეწერა თავისი ვრცელი ავტობიოგრაფია. მანამდე კი ცნობილი იყო მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ შედარებით მცირე რამ.*

*იგი სიამოვნებით დამპირდა, რომ შეასრულებდა ჩემს თხოვნას. რამდენიმე ხნის შემდეგ გადმომცა საკუთარი ხელით დაწერილი თავისი ავტობიოგრაფია“.*

ეს ავტობიოგრაფია ინახება შ. რადიანის არქივში. გაგაცნობთ ერთ მონაკვეთს, სადაც მიმართავს პერსონალურად შალვა რადიანს:

**„მე ვარ პოეტი, ლირიკული ლექსის ახალი ოსტატი:**
შალვა, შენთვის ვამბობ:
**– მე ვარ „литературавед“**
**– და აგრეთვე ქართველი კლასიკოსების რედაქტორი, მე ვარ მთარგმნელი (მოძმე ერთა**
**ლიტერატურისა),**
**მე ვარ საბავშვო ლექსების**
**ავტორიც,**
**– მე ვარ კარგი**
**დეკლამატორი (ასე ამბობენ)**
**და შენც დაწერე – რა**
**გენაღვლება და დარჩეს**
**ისტორიაში ჩემი**
**ლექსთა კითხვა.**
**ერთი სიტყვით,**
**რასაც ხელს ვკიდებ,**
**ყველაფერს პირნათლად**
**ვასრულებ“.**

* * *

წინამდებარე წერილში ი. გრიშაშვილი თავის დამოკიდებულებას ამჟღავნებს ცენზურის მიმართ და შალვა რადიანს სთხოვს, საგამომცემლო კომისიასთან შუამდგომლობა გაუწიოს. წერილებში იგრძნობა სამწუხარო რეალობა, როცა ცენზურა არა მარტო თანამედროვე პოეტების, არამედ კლასიკოსების (ამ შემთხვევაში, აკაკის) შემოქმედების გადაკეთებას ცდილობს.

**„ლექსი დაბეჭდილი ვნახე, ფული მივიღე, მაგრამ ერთი (სტროფი, კუპლეტი) რომ ამოგიღიათ, მეწყინა. მთელი ლექსი ორ ნაკვეთადაა გაყოფილი და თითო ნაკვეთში 5-5 ტაეპია. ეხლა კი მთელი ლექსი დაკოჭლდა და არც გადასვლები აქვს. ხომ იცით, მე ლექსს შევკრავ ხოლმე და ვცდილობ შევკუმშო ერთ მთლიან ჩუქურთმად. ერთი თხოვნა მაქვს:**

**გამოდის კრებული „ძველი და ახალი ტფილისი“ (მწ. კავშირმა შემატყობინა – შენც ხარ კომისიის წევრად არჩეულიო). ჩემს ჩამოსვლამდის, ვინ იცის, სტამბაში გადასცენ მასალა. აშკარაა ჩემი ლექსიც იქნება.**

**გეთაყვა, ის კუპლეტი ჩაუმატე და ისე გადაეცი ან შენ გადააკეთე, შენ ხომ პოეტი ხარ, აბა რომელი სულწაწყმენდილი ინატრებს საქართველოს ამაოხრებელ მურვანყრუებს. აქ მტკიცება ზედმეტია იმაზე, რომ გრიშაშვილს უნდა ეთქვა: ყველანი – თურქი, ქართველი და სხვა... დაძმობილდნენ...**

**„ირაკლი“ სულ ამოვიღე და ის კუპლეტი თუ არ ივარგებს, ჩაუმატე და გადაეცი სარედაქციო კომისიას. კარგი?**

*არც მურვანყრუ, არც შახაბაზ*
*აღარ იბრძვის განჯის კართან*
*და ყაფლანის ქართულ კაბას*
*გასცვეთია ყოშის კალთა.*

ვარიანტი:

*არც მურვანყრუს, არც შახაბაზ*
*აღარ ვხედავ განჯის კართან*
*და ყალფანის ქართულ კაბას*
*გასცვეთია ყოშის კალთა.*

**ბოლო ორ სტრიქონში ლაპარაკია, რომ თავადაზნაურობა აღარ არის, კაბებიც გასცვეთიათ... რა ვიცი, მგონი დამცველად ჩემს ლექსებს ვერ გამოვადგები. გეთაყვა, ამოხიე ჩემი ლექსი გაზეთიდან, „კუპლეტი“ მიაწერე და ისე გადაეცი, „ძველი და ახალი ტფილისის“ სარედაქციო კოლეგიას.**

**მიწერე, ი. გრიშაშვილი.**

* * *

**აკადემიაში, შ. რადიანს პირადად!**

**გადავათვალიერე აკაკის მესამე ტომი, სწორი გითხრათ, ძალიან გამიძნელდა ლექსების ოპერაცია. მართალია, აკაკის აქვს სუსტი ლექსები, მაგრამ ეს ხომ აკაკია. მესამე ტომი გაგრძელებაა I-II ტომისა, მაშასადამე, პრინციპში ერთი უნდა იყოს, ჩემი აზრით, ეს ტომი ან ასე უნდა დარჩეს, ან სხვა მიდგომით გაიცხრილოს, ერთი ან ორი ლექსის ამოღება არაფერს უშველის. ზევით მოგახსენეთ, აკაკის აქვს რამდენიმე პირადული ლექსი, რომელიც გაბრაზებულ გუნებაზე მოსხლეტია მის პოეტურ კალამს, მაგრამ ეს ხომ ისტორიაა! მე მგონი, არაფერი დაშავდება, რომ ეს ტომი, როგორც არის, ისე გამოვიდეს. შენიშვნები კარგადაა დაწერილი, მოსჩანს შემდგენლის ერუდიცია და შრომისუნარიანობა.**

**ამ ტომს შეიძლება პატარა წინათქმა დაერთოს, რომ განზრახულია აკაკის სხვანაირი გამოცემაც. შემდგარია ახალი რედაქცია და სხვა.**

**1953 13/II ი. გრიშაშვილი.**

* * *

ტრადიციული, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების მშვენიერი მაგალითია **ვიქტორ გოლცევის** წერილები შ. რადიანისადმი. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანის ქართულ თარგმანს.

**ძვირფასო შალვა!**

**ორი დღეა, ჩემს მოკრძალებულ წყნარ მოსკოვურ სახლში ვცხოვრობ. სოხუმში გავატარე სამი დღე. სწრაფად მოვამთავრე ჩემი საქმეები და სოჭის გავლით ჩრდილოეთისაკენ გამოვემართე. ისე, რომ არსად არ შევყოვნებულვარ. ცივი, წვიმიანი ამინდი აფხაზეთშიდაც კი თან მსდევდა. თბილისის ხმაურიანი და მეგობრობით სავსე დღეების შემდეგ სოხუმი მეტად მოწყენილად მომეჩვენა.**

**მართალია, აფხაზი მწერლები მეტად გულთბილად შემხვდნენ, მოხუცმა გულიამ და მისმა ვაჟმა გიორგიმ მომიალერსეს და ყველაფერი იღონეს, რათა გაეხალისებინათ ჩემი ხანმოკლე ვიზიტი მათ ქალაქში.**

**თბილისში გატარებულ დღეებს, ქართველ მეგობრებთან შეხვედრებს დიდი სიამოვნებით და კმაყოფილებით ვიგონებ. რა თქმა უნდა, მე ვიცი სუფრაზე წარმოთქმული მრავალი კომპლიმენტის ფასი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემს შრომას ამჟამად საქართველოში უფრო მეტად აფასებენ.**





**ყოველ შემთხვევაში, მე იმედი მაქვს, რომ აღარავინ შემიშლის ხელს ჩემს საქმეში, უფრო სწორად, ვეღარავინ შეუშლის ხელს ჩვენს საერთო საქმეს.**

**როდესაც მოსკოვში იქნებით, აუცილებლად დამირეკეთ და შემოიარეთ.**

**გთხოვთ, გადასცეთ ჩემი სალამი ყველა ჩვენს საერთო მეგობრებს.**

**მაგრად გართმევთ ხელს**
**თქვენი პატივისმცემელი**
**ვიქტორ გოლცევი**

* * *

აზრთა სხვადასხვაობა ილია ჭავჭავაძის საფლავის მონუმენტის გამო რამდენიმე ათეული წელი გრძელდებოდა. ისიც ცნობილია, რომ მაშინ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ შეკვეთა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისგან“ მიიღო და მათივე მითითებით ესკიზები არაერთგზის შეიცვალა.

თქვენ წინაშეა **ეკატერინე გაბაშვილის** წერილი შალვა რადიანისადმი, დაწერილი მონუმენტის დადგმიდან 30 წლის შემდეგ, რაც იმას მოწმობს, რომ თემა, როგორც საპოლემიკო საგანი, კიდევ არ გახლდათ ამოწურული. საგულისხმოა თავად ნიკოლაძის, ალბათ, უკვე ამ საკითხით შეწუხებული ხელოვანის თავაზიანი რეაქციაც: „ძლიერ კარგი იქნება, იშუამდგომლეთ“...

* * *

**„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს შ. რადიანს**




პირველ რიგში: მიხეილ ჯავახიშვილი, არისტო ჭუმბაძე, ტიციან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, დემნა შენგელაია, ვანო წულუკიძე, შალვა რადიანი, სიმონ ჩიქოვანი.
მეორე რიგში: გესო ჟღენტი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო კალაძე, გიორგი ქუჩიშვილი, ბოლო ორი უცნობია, ვარაუდია, რომ ადგილობრივები არიან.
ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის კონგრესი. ბაქო, 1929 წელი.

როდესაც ილია ჭავჭავაძის ძეგლი აკურთხეს უწმინდესის წეს-განგებით, როგორღაც არა სასიამოვნო გვეჩვენა ზევრს თეთრი მარმარილოს უკანა კედელი საფლავისა მომეტებულად მაღალი და გრძელია შედარებით იმ ფიგურასთან, რომელიც მიძღვნილია ილიას დასაგვირგვინებელ ემბლემად. იქვე შევხვდი ამხანაგ იაკობ ნიკოლაძეს და შევეკითხე: „განა არ მოუხდებოდა და არ დაამშვენებდა ამ მაღალ და გრძელ კედელს შუაზედ ილიას ძვირფასი სახის ბარელიეფი მიმაგრებოდა-მეთქი?“ ის სრულიად დამეთანხმა და მირჩია მიმემართა იმისთვის, ვინც აწარმოებდა ამ საქმეს.

ეხლა, როდესაც უკვე 30 წელიწადი გავიდა და ილიას ძეგლის შესამკობლად მრავალი ღონისძიება აღმოჩნდა ილიას სახელის აღსადგენად და პატივსაცემად დიდებული მესვეურისა, მე კვლავ მივმართე ჩვენ სახელოვან ხელოვან იაკობს ბარელიეფის შესახებ ილიას საფლავზედ. მან კვლავ მიპასუხა:„ძლიერ კარგი იქნება... იშუამდგომლოთო“.

გთხოვთ, ჩემი აზრი და ხელოვანის დამოწმება მიაწოდოთ თქვენი გაზეთის საშუალებით და თუ მოწონებული იქნება, იგი აღსრულებაში მოვიყვანოთ.

ოქროს ასოებით დამშვენებული კედელი, იმდენს არ ეტყვის ქართველის გულს, რამდენათაც გამოხატავს ილიას ღირსშესანიშნავი სახე გამოქანდაკებული ხელოვანისაგან.

* * *

ჩვენს საოჯახო რელიკვიათა შორის გახლავთ მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ ერთ-ერთი თავის ავტოგრაფი და იგივე ნაწარმოები დასტამბული სახით, ავტორის ხელით ჩასწორებებით.

ეს მასალა, ვფიქრობთ, ტექსტოლოგებისთვის არაჩვეულებრივად საინტერესოა. აქ, გარდა ამისა, რომ ჩანს, რომანის ტექსტის ისტორია, ავტორის პრინციპული დამოკიდებულებაც საკუთარი ნაწარმოებისადმი და, საერთოდ, ისტორიული ლიტერატურისადმი.

ეს ჩანაწერები, ჩასწორებები, ჩამატებები, წიგნის ფურცლების გვერდებზე მინაწერები ცალკე კვლევის საგანია და ვიმედოვნებთ, მეცნიერთათვის არ დარჩება ყურადღების მიღმა.

წიგნს შალვა რადიანის ძალიან საგულისხმო მინაწერი ახლავს: „ეს წიგნი სტამბაში იყო გადაცემული ასაწყობად. აიწყო კიდეც ნაწილი, მაგრამ გარკვეული შემთხვევის გამო შეაჩერეს მისი გამოცემა. დედანი რომ არ დაკარგულიყო, სტამბიდან წამოვიღე, ავკინძე (რადგან გვერდები იყო დაშლილი) და შევინახე.

შ. რადიანი, 1938 წ.

მოამზადა

**მერი გომართელმა-რადიანმა.**

**P. S. ქალბატონ მერი რადიანის პუბლიკაციას ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი, ბევრისთვის უკვე ცნობილი ინფორმაცია აკლია. მას მერე, რაც მიხეილ ჯავახიშვილი დააპატიმრეს, პირველი, რაც შალვა რადიანმა გააკეთა, მწერლის შემთხვევით გადარჩენილი ხელნაწერები გადამალა და მომავლისთვის გადაინახა (ეს მაშინ, იმ წლებში, როცა ჯავახიშვილის, ტიციანის, პაოლო იაშვილის წიგნებს ცეცხლში წვავდნენ), ამ ფაქტს მუდამ უდიდესი მადლიერებით იგონებდა ქალბატონი რუსუდან ჯავახიშვილი.**

**...და არა მარტო არქივი, დიდი მწერლის უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მეუღლე და ქალიშვილებიც უსასოოდ და ულუკმაპუროდ დარჩენას სწორედ რადიანების ოჯახმა გადაარჩინა.**

**ეს ლიტერატურის ისტორიას აუცილებლად უნდა ახსოვდეს.**

# პოლიტპატიმრის გადარჩენილი სული და ლექსები



**ამ ლექსების წიგნის ავტორმა აკაკი პავლეს ძე წერეთელმა, ბატონ ვილენ მარდალეიშვილის ვარაუდით, დიდი აკაკი წერეთლის ჩრდილში იცხოვრა, თუმცა, თავისი ყოფიერების გზა მაინც გამორჩეულად და ღირსეულად განვლო.**

ლექსთა კრებული **„პოლიტპატიმრის აღსარება“** სხვა მიზეზითაცაა ღირებული: შესავალ წერილებსა თუ კომენტარებში შვილის – ნუგზარ წერეთლის მიერ გამჟღავნებული დამოკიდებულებაა მშობელისადმი: მოწიწებით, ტკივილით, მამის სამყაროში წვდომის სურვილით და უნარით...




აქ მხოლოდ გენეტიკური სიახლოვე არ არის მთავარი, არამედ ბატონი ნუგზარის გრძნობადით და ცნობადით აღქმული და გააზრებული მამის პერსონა, ეპოქის რეალიების ფონზე.

შეუძლებელია გულგრილად წაიკითხოთ აკაკი პავლეს ძე წერეთლის ბიოგრაფია, თვალი გადაავლო „იმ უზარმაზარ, აუნაზღაურებელ ზარალს“, რაც მათმა ოჯახმა რეპრესიების წლებში განიცადა და არ გაგაკვირვოთ, სამუდამოდ გადარჩენილმა პოეტურმა მუხტმა, სიცოცხლის ბოლომდე რომ ახლდა მრავალ სულიერ თუ ფიზიკურ განსაცდელგამოვლილ ადამიანს.

ბატონი აკაკი წლების მანძილზე უშედეგოდ ცდილობდა არა მხოლოდ ოფიციალური, არამედ მატერიალური და სულიერი რეაბილიტაციისთვის მიეღწია. წერეთელთა საოჯახო არქივში დაცულია ასლი განცხადებისა, რომელიც მან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ა. ინაურს გაუგზავნა. ცნობილი ბიბლიოგრაფი და ინტელექტუალი ითხოვდა თავისი უნიკალური ბიბლიოთეკის, ფოტოების, ხელნაწერების დაბრუნებას... სევდისაღმძვრელია ის ჩანაწერებიც, დედისგან გამოგზავნილი წერილების დაკარგვას რომ მტკივნეულად განიცდის...

კრებულში შეტანილი ლექსების, მოგონებების, დოკუმენტების მიხედვით, შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ წერეთელთა ამ კეთილშობილი ოჯახის ერთგვარი ინტერიერიც: კეითლგანწყობილი, წინაპართა და ურთიერთერთგულებით განმსჭვალული გარემო და ტრადიციები.

**„გარდასულ ჟამთან პირისპირ შეყრა დამჯახებია,**
**როგორც ქარბუქი,**
**ყოველთვის მძიმე ფიქრებს აღმიძრავს ორთაჭალა**
**და რუხი ხარფუხი.**
**აქ გორგასალის სული ტრიალებს, რომელიც ხალხის**
**ძალამ ადიდა,**
**საუკუნენი არწივებივით გადმოგვყურებენ შავნაბადიდან“...**

ამ სტრიქონების ავტორს ვერც უმძიმესმა წლებმა, ვერც მისი დიდი ღვაწლის იგნორირებამ, ვერც სასტიკმა რეპრესიებმა ვერ გაუნელეს ღირებულებებისადმი ერთგულება და სიყვარული... სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე წერდა ტკივილიან, მაგრამ იმედიან სტრიქონებს – თავის მოკრძალებულ გზავნილს მომავლისადმი:

**„დღესაც გრძელდება**
**ძველი თვისებით.**
**ისევ ისეა კვლავაც და**
**წამებაც,**
**ისევე ვდაობთ, რაზეც**
**ვდაობდით,**
**და რაც დაკარგეს**
**ბრძენმა მამებმა**
**აღსადგენია ჩვენი თაობის“...**

# „თქვენთან არ იყო, კამოენსი მოკვდა მშიერი?!“



**გამბედაობით სახელგანთქმულ რაინდებს, იმათ იარაღს, რითაც ოკეანე ისე გაკვეთეს,**
**რომ ტაპრობანსაც კი გასცილდნენ,**
**ცდუნების მიმართ**
**შეურიგებელ ერის შვილებს, ვინც გააკეთეს**
**საშვილიშვილო საქმეები დიდი ხნის წინათ“...**

– ასე იწყება ლუის დე კამოენსის ეპოსის **„ლუზიადების“** ქება პირველი, რაც თავიდანვე არაერთგვაროვან ინტერესს აღძრავს: ეძღვნება ყველა დროში და ყველა ქვეყანაში იდეალად აღიარებულ „შეურიგებელ ერის შვილებს, ვინც გააკეთეს საშვილიშვილო საქმეები დიდი ხნის წინათ“, მსოფლიოს მრავალ ენაზე არაერთგზის თარგმნილმა XVI საუკუნის პორტუგალიურმა, მაღალი რანგის ლიტერატურულმა ქმნილებამ ახლა უკვე ჩვენს მშობლიურ სივრცეშიც შემოაღწია და, რაც მთავარია, არაჩვეულებრივი თარგმანით, რომელსაც პროფესიულ დონესთან ერთად მთარგმნელის განსაკუთრებული დამოკიდებულება და სულისკვეთება ახლავს. ეს კრებული კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ პოეტური ტექსტი პოეტმა უნდა თარგმნოს იმ შთაგონებით, როგორითაც საკუთარ სტრიქონებს გადმოგვცემს, ცნობიერში თუ არაცნობიერში გატარებულს...




ამ სფეროში ესოდენ გაწაფულმა ბატონმა **გურამ გოგიაშვილმა** მთარგმნელის ამ ნაშრომს, რომელსაც სრულყოფილი სამეცნიერო აპარატი ახლავს, ***„ჯემალ ინჯიას პოეტური გმირობა“*** *უწოდა: „უზომოა ჩემი სიხარული, იმდენად უზომო, რომ ყველასთვის მინდა ამ სიხარულის გაზიარება... ერთ წელიწადზე ცოტა ხნის განმავლობაში ჯემალ ინჯიამ კამოენსის თითქმის ათი ათასი სტრიქონი თარგმნა, როგორც იტყვიან, დღე და ღამე გაასწორა.*

*არც საჭმელი ახსოვდა და არც სასმელი, არც ძილი... ერთი სიტყვით, მთლიანად პორტუგალიაში გადაინაცვლა, XVI საუკუნეში იცხოვრა, გაკამოენსდა, უფრო ზუსტად კი,* ***კამოენსი ღირსეულ ქართულ კლასიკად აქცია...“***

ცნობილია, რომ პოეტურ ტექსტზე არანაკლებ მნიშვნელოვანია პოეტის ბიოგრაფია, რაც როგორც მეტატექსტი მონაწილეობს, არა მარტო შინაარსის, არამედ მეტაფორის აღქმისთვის განაწყობს მკითხველს და გზას უნათებს სტრიქონების არა მარტო გონებით, არამედ გულით აღსაქმელად.

კამოენსის ბიოგრაფიას ამშვენებს: რთული ბავშვობა, მისივე დიდი განათლება, სამეფო კარზე მიწვევა და დიდგვაროვანი ლამაზმანის შეყვარების გამო იმავე საზოგადოებიდან განდევნა, თავსდატეხილი რისხვით; ჯარისკაცის ცხოვრება მაროკოში და ბრძოლაში მარჯვენა თვალის დაკარგვა; ჭაბუკმა ნახა საპყრობილის კედლებიც... ინდოეთში გამგზავრებაც და იქაც მეფის სამსახური... ჩვიდმეტწლიანი განშორების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული დაწერს პოემას „ლუზიადები, სადაც ვასკო და გამას მოგზაურობის ფონზე ქვეყანაა აღწერილი...

ყველაფერი ისეა და იმაზე მეტი „როგორც პოეტს შეშვენის“...

* * *

**„მზე შუადღისას რომ**
**დაგვაფრქვევს სხივთა**
**სიცხოვლეს**
**ან გაზაფხულზე ირიჟრაჟებს**
**ვარდისფრად დილა,**
**მე უხალისოდ მივაშურებ**
**მდინარის პირას –**
**– როგორ მიყვარდა,**
**გავიხსენებ, როგორ ვიცხოვრე...“**

ეს სტრიქონები თითქოს თავიდანვე, ჩვენს მშობლიურ ენაზეა დაწერილი და დიდი კლასიკოსების სულიერ დრამას ეხმაურება.

– „ლუზიადებში“ მკითხველი ქართულ თემებსაც გადაეყრება, – გვამცნობს ბატონი ჯემალ ინჯია, – პოემა შექმნილია ოქტავებით და ათი ქებისგან შედგება“.

ამ „ქართულ თემებზე“ უფრო დეტალურად ბატონი გურამ გოგიაშვილი საუბრობს: „საყურადღებოა, რომ კამოენსი თავის პოემაში ხშირად იხსენებს კოლხეთსა და იბერიას, პარალელებს ავლებს პორტუგალიის ისტორიისა და არგონავტების მითში მოთხრობილ ამბავს შორის. მესამე თავში ლაპარაკობს კავკასიაში პომპეუსის ლაშქრობის შესახებ. მეშვიდე თავში ევროპის ქრისტიან ხალხს მოუწოდებს, ქართველი ერი იხსნას ოსმალო და სპარს დამპყრობელთაგან“.

ბატონი გურამის ესოდენი გულშემატკივრობა ამ კრებულისადმი კიდევ ერთი მიზეზითაა განპირობებული: სიჭაბუკეში მას თავად განუზრახავს დიდი პორტუგალიელი პოეტის ქართულ ენაზე გადმოტანა, ცნობილი რუსი მთარგმნელისგან ვილჰელმ ლევიკისგან პწკარედიც კი მოუპოვებია, მაგრამ წლების შემდგომ მთელი ეს მასალა „საიმედო ხელისთვის“ – პოეტ ჯემალ ინჯიასთვის გადაუცია. სასიხარულოა ამ ტანდემის მაღალი შედეგი, რასაც, იმედია, საზოგადოების დიდი რეზონანსი მოჰყვება.

**თემის განზოგადებისთვის:**

ტრაგიკული ბიოგრაფია, რაც მუდამ ლეგენდასავით ახლავს თითქმის ყველა მწერლის თუ მოღვაწის შემოქმედებას ისე, როგორც ვერგამგები და ყრუ გარემო, ყველა ეპოქაში აქტუალური იყო და იქნება...

რაოდენ ახლობელია, თანაგრძნობით გამსჭვალული მკითხველისთვის, ქართველი მწერლის გიორგი ერისთავის პიესაში „დავა“ გაჟღერებული სტრიქონები: „თქვენთან არ იყო, კამოენსი მოკვდა მშიერი?!“..

**ჩანართზე მუშაობდნენ**
**ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

**თამაშის წესები რომ შეიცვალოს!**

# ანტიმონოპოლიური სამსახური ორ თვეში ამოქმედდება




**სულ რაღაც 2 თვეში კონკურენციის სააგენტო, ანუ ანტიმონოპოლიური სამსახური უნდა ამოქმედდეს. კანონპროექტი უკვე მზად არის და თვის ბოლომდე პარლამენტი მის განხილვას დაიწყებს. მთავრობა კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე უკვე ერთი წელია მუშაობს და კონსულტაციები ყველა ბიზნეს-ასოციაციასა და დაინტერესებულ პირთან გაიარა.**

**„ჩვენ ვფიქრობთ, რომ აპრილისთვის სააგენტო უკვე შექმნილი უნდა იყოს. ეს დრო მაქსიმალურად იქნება გამოყენებული იმისთვის, რომ სააგენტომ რაც შეიძლება მალე და დროულად დაიწყოს საქმიანობა“,** — აცხადებს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძე.

კანონპროექტის მიხედვით, ჩამოყალიბდება დამოუკიდებელი სსიპ-ი, „კონკურენციის სააგენტო“, რომლის საქმიანობაში, საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნების შესაბამისად, ხელისუფლებაში მყოფი პირები ვერ ჩაერევიან.

**„სააგენტო დამოუკიდებლად შეისწავლის ქვეყანაში არსებულ გარემოს, ანალიზისა და მეთოდოლოგიური დოკუმენტების გათვალისწინებით. აქამდე თუ არ არსებობდა მომჩივანის ან განმცხადებლის საჩივარი, არ ხდებოდა არანაირი ქმედების განხორციელება“,** — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

ახალი კანონპროექტის თანახმად, ქვეყანაში იქნება დამოუკიდებელი ერთეული, საჯარო სამართლის იურიდიული პირი — კონკურენციის სააგენტო, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის წინაშე და მის ხელმძღვანელს 5 წლის ვადით დანიშნავს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით. დამოუკიდებლობის გარანტიები მაქსიმალურად გაწერილია, რომ მისი ასახვა კანონში მოხდეს და რომ არ მოხდეს შეზღუდვა ფუნქციონალურად.

არსებული კანონით, დამოუკიდებლად სააგენტო ვერ უზრუნველყოფს, რომ მოკვლევა ჩაატაროს და ესა თუ ის ბაზარი შეისწავლოს. **„მოქმედ კანონში წერია, რომ მისი საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს მთავრობის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს და მიმართულებებს. იმის იქით ის ვერ წავა. დღესაც ასეა, რომ უნდა იყოს მომჩივნის ან განმცხადებლის განცხადება. თუ გვინდა, რომ ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენცია განვითარდეს, ძალიან მნიშნელოვანია, რომ სააგენტო მუდმივად უზრუნველყოფდეს ბაზრის კვლევებს, ანალიზებს და რეალურ სურათს დებდეს კონკურენციის გარემოზე, რათა შეიქმნას რეალური სურათი თუ რა მიმართულებით არის ქვეყანაში პრობლემა, რათა ის პრობლემა აღმოიფხვრას“,** — ამბობს მიქელაძე.

ერთია კანონის მიღება და მეორე სააგენტოს ჩამოყალიბება. ასევე მნიშვნელოვანია სააგენტოში დასაქმებული კვალიფიციური კადრები. ამასთან დაკავშირებით მთავრობას დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერა უკვე აქვს. დაიწყება კადრების შერჩევა, გადამზადება, ტრენინგები და ა.შ.

**რაც შეეხება სანქციას, კანონპროექტში საჯარიმო სახით ჩადებულია წინა წლის ბრუნვის არაუმეტეს 10 პროცენტისა, თუმცა, ეს დამოკიდებული იქნება დარღვევის ხასიათზე და შინაარსზე. სააგენტოს გადაწყვეტილება არ იქნება საბოლოო, რადგან სასამართლოს გზით ამა თუ იმ პირს შეუძლია სააგენტოს გადაწყვეტილება სადავო გახადოს.**

სპეციალისტები უკვე ასახელებენ იმ მიმართულებებს, სადაც აშკარა და თვალსაჩინოა მონოპოლიური სქემები. ეკონომიკის ექსპერტს დემურ გიორხელიძეს ასეთად ნავთობპროდუქტებისა და კვების პროდუქტების ბიზნესი, წამლის იმპორტიორები მიაჩნია.

**„ისინი წარმოადგენენ მონოპოლიურ ჯგუფებს, რომელსაც მხარს უჭერდა არა მარტო ძველი ხელისუფლება, არამედ ახალი ხელისუფლებაც. ამიტომ ვამბობ, რომ საქართველოში არ არსებობს საბაზრო ეკონომიკა. აქ არის რაღაც ბოლშევიკური ეკონომიკისა და ტერმინ საბაზრო ეკონომიკაზე აგებული მუტანტური სისტემა, რომელიც სულს ღაფავს.**

**თუ სერიოზული კანონი იქნება, მაშინ მან უნდა დაანგრიოს ეს მონოპოლიური სუბიექტები და ყველამ კონკურენტულ გარემოში გააგრძელოს მუშაობა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ რომელიმე მათგანს ქონების ექსპროპრიაცია ან რაღაც ჩაუტარდეს. მე თუ ვაკრიტიკებ მათ, ერთადერთ რამეს მოვითხოვ, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი თამაშის წესებით ითამაშონ, იგივე წესებით, რა წესებითაც ითამაშებს ნებისმიერი სხვა სუბიექტი. სანამ ამას არ გააკეთებს მთავრობა, არაფერი ეშველება ამ მონოპოლიას“,** — აცხადებს დემურ გიორხელიძე.

**ბექა დანელია**

**ეს მოსალოდნელი იყო!..**

# ლარი კიდევ უფრო გამყარდება

**ლარის კურსი ყოველდღიურად მყარდება და უკვე 1.72-ის ფარგლებშია, 1 კვირის წინ კი, დოლართან მიმართებაში, 1,78-ის ნიშნულზე იყო. გაცილებით მეტად პოზიციები ეროვნულმა ვალუტამ ევროსთან მიმართებაში გაიმყარა. ლამის, ყოველ დღე ლარი ევროპულ ვალუტასთან მიმართებაში 100 პუნქტით იუმჯობესებს პოზიციებს და ახლა 2,35-ის დიაპაზონშია. ასეთი ტენდენცია, სავარაუდოდ, რამდენიმე კვირის განმავლობაში შენარჩუნდება.**

ოთხთვიანი დევალვაციის შემდეგ, ბოლო ერთი კვირაა, ლარმა მკვეთრი გამყარება დაიწყო. თუ აქამდე ეროვნული ბანკი დოლარს ყიდდა, ახლა საპირისპირო ტენდენციაა. უკვე მესამედ რამდენიმე დღის განმავლობაში, ქვეყნის მთავარმა საფინანსო ინსტიტუტმა 20 მილიონი დოლარი შეისყიდა, რამაც საერთო ჯამში, 60 მილიონი დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ სექტემბრიდან დღემდე, ეროვნული ვალუტის მხარდასაჭერად ეროვნულმა ბანკმა 440 მილიონი დოლარი გაყიდა.

**საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ლარი გამყარებას მომავლაშიც გააგრძელებს და შეიძლება 1,7-საც კი ჩამოცდეს. ამის მანიშნებელია ისიც, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 12 თებერვალს რეფინანსირების განაკვეთი 25 საბაზისო პუნქტით გაზარდა, შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთმა 4% შეადგინა. ბანკი თავის გადაწყვეტილებას ბოლო პერიოდში ეკონომიკის გამოცოცხლებით ხსნის.**

ეს ნიშნავს, რომ შერბილებული მონეტარული პოლიტიკის დრო, რომელიც ზედიზედ რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა, დასრულდა. ახლა **სებ**-ში სეზონალურ ინფლაციას უფრთხიან. ამიტომ, ბრუნვაში ზედმეტი ფულის მასის გაშვებისგან არათუ თავს შეიკავებენ, არამედ, შესაძლოა, შეამცირონ კიდეც. ამას თავისთავად მოჰყვება კურსის გამყარება, რომლის შედეგებიც დღეს უკვე სახეზეა.

როგორც ქვეყნის მთავარ საფინანსო ინსტიტუტში აცხადებენ, ინფლაცია მიზნობრივ დონეს (6%-ს), სავარაუდოდ, მიმდინარე წლის მეორე ნახევარში დაუახლოვდება (იანვარში მთლიანმა ინფლაციამ 2.9% შეადგინა, წინა თვესთან შედარებით კი ფასები 0.8 პროცენტით გაიზარდა).




წინასწარი შეფასებით, ნოემბერ-დეკემბერში ეკონომიკური აქტივობის ზრდამ 8%-ს გადააჭარბა. **„აქედან გამომდინარე, მეოთხე კვარტლის საპროგნოზო ზრდა 6.9%-ს შეადგენს, ხოლო მთლიანად 2013 წლის მშპ-ს ზრდა 3.1%-ს მიაღწევს. მეოთხე კვარტალში ეკონომიკურ ზრდას საგარეო მოთხოვნასთან ერთად (რაც წინა პერიოდებშიც აქტიური იყო), შიდა მოთხოვნის გააქტიურებამაც შეუწყო ხელი. მის გააქტიურებაზე მიუთითებს იმპორტის მაღალი წლიური ზრდის ტემპები, განსაკუთრებით აღსანიშნავია საინვესტიციო იმპორტის ზრდა, რამაც მომდევნო პერიოდებში ეკონომიკური ზრდის აღდგენა უნდა წაახალისოს“,** — აღნიშნულია ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**„2013 წლის აგვისტოს შემდგომ პერიოდში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.8%-ით გაუფასურდა. აღნიშნული გაუფასურების გავლენა სამომხმარებლო ფასებზე, დაახლოებით, 1 პროცენტულ პუნქტს შეადგენს, რაც უკვე გათვალისწინებულია ინფლაციის მიმდინარე პროგნოზში“,** — აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

აღნიშნული პარამეტრებისა და ტენდენციის გათვალისწინებით, საფინანსო ინსტიტუტში ფიქრობენ, რომ იაფი ფულის აუცილებლობა აღარ არსებობს.

**„მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიჩნია, რომ მნიშვნელოვნად შერბილებული პოლიტიკის შენარჩუნების საჭიროება აღარ არსებობს და გაზარდა პოლიტიკის განაკვეთი 25 საბაზისო პუნქტით. აღნიშნული ნაბიჯით ეროვნულმა ბანკმა დაიწყო შერბილებული მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლის პროცესი იმ დაშვებით, რომ ზემოაღნიშნული ტენდენციები შენარჩუნდება შემდეგ პერიოდში“,** — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც სააგენტო „ბიპიენი“ ავრცელებს.

რეფინანსირების განაკვეთის შემდგომი გადახედვა 26 მარტისთვის არის დაგეგმილი. თუკი იქამდე ეკონომიკა ცოტათი მაინც გამოცოცხლდა (როგორც მთავრობაში ამტკიცებენ) და სეზონური ინფლაციაც გაიზარდა (რაც წლის ამ პერიოდისთვის ჩვეული მოვლენაა), გამორიცხული არ არის მონეტარული პოლიტიკა კიდევ უფრო გამკაცრდეს.

**ბექა მეგრელაძე**

## დედამიწის ზურგზე



**კუნძულ იავაზე ვულკანის ამოფრქვევამ ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა. დახურულია აეროპორტები, გაუქმდა რეისები ინდონეზიის კურორტებზე**

ათასობით მცხოვრები ევაკუირებულია სახიფათო რაიონებიდან. ადგილობრივი სააგენტოს მონაცემებით, რომელიც თვალყურს ადევნებდა ვულკანის აქტივობას, 10 კილომეტრის რადიუსში 36 სოფელია, სადაც დაახლოებით 200 ათასი კაცი ცხოვრობს. გზები, სახლები, ხეები, სატრანსპორტო საშუალებები დაფარულია ფერფლის სქელი ფენით, პეიზაჟი მტვრის ან თოვლის ქარიშხლის შედეგებს მოგვაგონებს. მცხოვრებლებს მოუწოდებენ დაუყოვნებლივ წავიდნენ უსაფრთხო ადგილებში. პანიკით მოცული ხალხი პირდაპირ ღამით გაეშურა საევაკუაციო პუნქტებისკენ. კელუდი ინდონეზიის არქიპელაგის ყველაზე აქტიური ვულკანების რიცხვში შედით.

* * *

**სამხრეთმა კორეამ და კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ პირველად შვიდი წლის განმავლობაში დაასრულეს მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე**



სამხრეთი კორეის გაერთიანების სამინისტრო არ იტყობინება დეტალებს, კერძოდ, იმის შესახებ, მიაღწიეს თუ არა შეთანხმებას იმ ოჯახების შეხვედრების შესახებ, რომლებიც გაითიშნენ 1950-1953 წლების კორეის ომის დროს, აგრეთვე იმის შესახებ, მიაღწიეს თუ არა კომპრომისს თებერვლის ბოლოსთვის დანიშნულ სამხრეთი კორეისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივ სამხედრო სწავლებასთან დაკავშირებით.

* * *

**ავსტრალიელი თეთრი ზვიგენის დაუნდობელი მოკვლისთვის 18 ათასი დოლარით დააჯარიმეს**

ჯასტინ კლარკი მეგობრებთან ერთად ნადირობდნენ ზვიგენზე მეტად ბარბაროსული მეთოდით: თხელ წყალში ორმოტორიანი ნავის დახმარებით მიერეკებოდნენ მას კუთხეში, შემდეგ ბორტებით აზიანებდნენ და ხრახნებში აგდებდნენ. როდესაც მტაცებელმა მიიღო სერიოზული ჭრილობები, იგი ამოიყვანეს ნაპირზე და ბოლო მოუღეს ლითონის კეტებით. ზვიგენების ეს სახეობა ავსტრალიაში, აგრეთვე სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკაში, ნამიბიაში, მალტაზე და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში დაცვის ქვეშაა.

* * *

**ჩრდილოეთი ირლანდიის სეპარატისტებმა გაგზავნეს ბრიტანეთის გასაწვევ პუნქტებში გზავნილები ბომბებით**

მთლიანად შეერთებული სამეფოს სხვადასხვა ნაწილში გააუვნებლეს შვიდი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლებიც ბანდეროლებში იყო. ორი შეკვრა გაიგზავნა ირლანდიიდან. დანარჩენი ხუთი შემოვიდა დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ქალაქიდან. პრემიერმა კემერონმა საგანგებო კომიტეტი „კობრა“ მოიწვია.



№32-33. შაბათი, 15 თებერვალი, 2014 წელი.

# ოცდაათწლიანი ოდისეა რაბლეს სამყაროში


რაბლესთან ერთად ქართულ ენაზე აამეტყველა როტერდამელი და კოელიო, პავიჩი და პაუსტოვსკი... ახლა ჩინელ მო იანს აქართულებს.

ევროპული რენესანსის გიგანტის ფრანსუა რაბლეს უკვდავი **„გარგანტუა და პანტაგრუელის“** ქართულად გადმოღების ოცდაათწლიანი ოდისეა წარმატებით დასრულდა. დიდი მორალისტის შემოქმედება, რომელიც კარგა ხანია გავითავისეთ ქართველებმა, ტიტანური შრომის ფასად თავის თავზე აიღო და ბრწყინვალედ წარმოგვიდგინა ცნობილმა ქართველმა მთარგმნელმა და ლიტერატორმა **გურამ გოგიაშვილმა.** შესაძლოა, ვაჭარბებ, მაგრამ ცივილიზებული სამყაროს არც ერთ ერს არ მიუგია პატივი „პანტაგრუელიზმის ფილოსოფიის“ ფუძემდებლისადმი იმგვარად (გარდა მშობლიური ფრანგებისა), როგორც ჩვენ, ქართველებმა და ამაში ლომის წვლილიც ბატონ გურამს მიუძღვის. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში რაბლეს პირველი წიგნი მიიღო ქართველმა მკითხველმა მცირე ზომის ორტომეულის სახით. იქიდან მოყოლებული მთარგმნელს არ მიუტოვებია დიდი რაბლეს სამყარო. ხუთივე წიგნი გარგანტუა და პანტაგრუელის სარკაზმნარევი ისტორიისა ქართული ენის უძირო საუნჯის მარგალიტებით შეამკო, მოჭიქ-მოაჩუქურთმა და ხალხის წიაღიდან ამოსული იმგვარი თავანკარა ლექსიკით გადმოაენა, როგორც ისაუბრებდნენ დიდი ფრანგის თანამედროვე მეთექვსმეტე საუკუნის ქართველები.

გურამ გოგიაშვილისეული რაბლე, როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი თარგმანია, რაც კი გამოსულა უცხო ენებზე. გასაოცარიც არაა, რომ თანამედროვე ქართველმა გამომცემლებმაც უმალ იგუმანეს, თუ რამხელა მამულიშვილურ საქმეს წამოიწყებდნენ და მომავალ ქართველებს დაუტოვებდნენ უდიდესი ჰუმანისტის ამ საუცხოოდ გადმოენებულ შედევრს. ორიოდე თვის წინათ „გამომცემლობა პალიტრა L“-მა თავისი შესანიშნავი პროექტის **„კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“** ფარგლებში ქართველ მკითხველს მიაწოდა შესანიშნავად გამოცემული ორტომეული ამ ხუთწიგნეულისა. ახლახან კი ცნობილმა გამომცემელმა, ბატონმა **ბონდო მაცაბერიძემ** და გამომცემლობის მთავარმა რედაქტორმა ქალბატონმა **რუსუდან მოსიძემ** თავიანთი „ბაკმის“ წყალობით, ხუთწიგნეული მართლაც რაბლეს შესაფერისად, ყალმისოსტატთა გენიოსი წარმომადგენლის გუსტავ დორეს ილუსტრაციებით დამშვენებული, ერთ წიგნად გამოსცეს. რიგში სხვა გამომცემლობებიც დგანან, რადგან ეს შესანიშნავი წიგნი ყველა წიგნიერი ქართველის ოჯახში უნდა იყოს.

ბატონ ბონდოს ამ მართლაც მამულიშვილურ საქმეში ხელი შეუწყო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და მისმა თავკაცმა, შესანიშნავმა მწერალმა **გურამ ოდიშარიამ.** 11 თებერვალს კი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წიგნის წარდგინებაც მოეწყო, რომელსაც რაბლეს გამქართველებლის ნიჭის თაყვანისმცემლებთან, წიგნის მოყვარულებთან და უამრავ კოლეგასთან ერთად თავად მინისტრიც დაესწრო და თბილი, არაგადამეტებული და მართლაც სეფე სიტყვაც არავის დაუთმო, რადგან თავადაც შესანიშნავმა ლიტერატორმა კარგად უწყის წიგნის ფასიც და წიგნისმქმნელთა დაფასებაც.

გულთბილი მილოცვის შემდეგ სწორედ ის აღნიშნა მინისტრმა, რაც ზემოთ მოგახსენეთ – **სრულიად ყმაწვილი ვიყავი, როდესაც პირველი ქართული გამოცემა წავიკითხე რაბლესი და მას შემდეგ ამ დიდი მთარგმნელისა და ჩემი უფროსი მეგობრის გურამ გოგიაშვილის თაყვანისმცემელი გავხდიო. სულმოთქმელად ველოდი ხუთწიგნეულის დამთავრებას და თავს ბედნიერ ადამიანად ვთვლი, რომ შესანიშნავ გამომცემელ ბატონ ბონდო მაცაბერიძესთან ერთად კულტურის სამინისტროს წვლილიც არის ამ სრულყოფილი გამოცემის შექმნაშიო.**

ვინც კი ერთხელ მაინც შესწრებია გურამ გოგიაშვილის მუშაობის პროცესს, დამერწმუნება, რომ იგი მართლაც ტიტანურ შრომას დებს თითოეული ნაწარმოების გადმოენებაში. მისთვის, როგორც მთარგმნელისთვის, მნიშვნელობა არ აქვს დიდსა და პატარა შემოქმედს, რომელსაც იგი შეეჭიდება. მისთვის მთავარია ქართველი მკითხველი, რომელმაც მისი ნაღვაწი უნდა დააჭაშნიკოს, დააგემოვნოს და გაითავისოს. მე ბედნიერება მხვდა წილად, თვალი მედევნებინა, როგორ ამეტყველდნენ ჩემს მშობლიურ ენაზე რაბლე, პავიჩი, პაუსტოვსკი, ერაზმ როტერდამელი, კოელიო, ახლა კი ანონსად გეტყვით, რომ ერთ დიდ ჩინელ ნობელიანტს უსინჯავს კბილს და ბებერი ევროპიდან ბრძენ აღმოსავლეთში „დაუდვია ბინა“, სწორედ იქ „რბის მისი ფიქრები“, შორეულ, უძველესი ტრადიციების, თავისებური ფილოსოფიის მქონე ქვეყანაში. შევსწრებივარ-მეთქი ვახსენე, მის მუშაობას და უფრო განვავრცობ, რადგან წარდგინებაზე მოწვეულთა შორის არ მეგულებოდა არც ერთი, რომლისთვისაც ბატონ გურამს რჩევა არ ეკითხოს. ეს მისი ყველაზე დასაფასებელი თვისებაა, როგორც მგადმოენებლისა.



ბონდო მაცაბერიძე, ნანა ტონია, გურამ გოგიაშვილი და რუსუდან მოსიძე

ისიც ვახსენე – რაბლე გადმოაენა-მეთქი, გადმოაენა კოელიო და პავიჩი-მეთქი, ერაზმ როტერდამელი და ნობელიანტი ჩინელი-მეთქი, გადმოაენა და არ თარგმნა. სწორედ ამაზე ისაუბრეს მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად მისმა უახლოესმა მეგობრებმა და კოლეგებმა, ქართული მთარგმნელობითი სკოლის შესანიშნავმა წარმომადგენლებმა ქალბატონმა **დალი ფანჯიკიძემ** და ბატონმა **დავით წერედიანმა.** ვინ, თუ არა მათ, კარგად უწყიან, თუ რაოდენ რთული და საპასუხისმგებლოა ისეთ გემოვნებიან მკითხველს, როგორიც ქართველი მკითხველია, მშობლიურ ენაზე მიაწოდო უდიდესი წარმომადგენლები მსოფლიო კლასიკისა და სიტყვაკაზმულ ქართულ ლიტერატურაზე გაზრდილი წიგნისმოყვარული განაცვიფრო მათი სიდიადით. **„ეს კი შეძლო ბატონმა გურამმა, შეძლო შეუძლებელი და „ქართველი რაბლე“ დაგვიდო ოცდაათწლიანი შრომის შემდეგ. ბევრი უსახურ წიგნზე უნდა ისაუბრო, ანუ უნდა აკრიტიკო, კარგ წიგნზე უნდა თქვა – კარგია. მართლაც კარგია, ბატონო გურამ“,** – ბრძანა **დავით წერედიანმა,** ლაკონურმა შემფასებელმა სხვათა ნაღვაწისა.




ვინ თუ არა მათ, ქალბატონმა დალი ფანჯიკიძემ და ბატონმა დავით წერედიანმა უწყიან, თუ რა საპასუხისმგებლოა გემოვნებიან ქართველ მკითხველს მიაწოდო მსოფლიო კლასიკა

რაბლეს ფილოსოფიასა და პანტაგრუელიზმის ქართულ ცნობიერებაში დამკვიდრებისთვის გაწეულ უდიდეს წვლილზე, რაც ბატონი გურამის დამსახურებაა, ისაუბრა ფილოსოფოსმა და ლიტერატორმა **გიორგი გაჩეჩილაძემ.**

ყველასთვის ცნობილმა ბიზანტოლოგმა, უნიჭიერესმა ქალბატონმა **ნანა ტონიამ** სწორედ იმ სირთულეების შესახებ მოგვახსენა, რომლებსაც ვხვდებით ანტიკური და რენესანსული დროის ქმნილებათა თარგმანისას. აქ ხომ მთავარი ენის ცოდნა არაა, არამედ ეპოქის შეგრძნება, იმ ისტორიულ პერიოდში გადასახლება დროებით კი არა, სწორედ იმ ხანის სიგრძეზე, სანამ არ გაითავისებ სულს ეპოქისას, რომელშიც უნდა ამოგზაურო მკითხველი. ეს ეხება არა მარტო ისტორიას, არამედ კულტურას, ეპოქის თავისებურებებს, იმდროინდელ სარკაზმსა და ენის მრავალფეროვნებას. **„სწორედ ქალბატონმა ნანამ და ცნობილმა მთარგმნელმა მანანა ღარიბაშვილმა გამიწიეს უდიდესი დახმარება ლათინურ-ბერძნული ტექსტების დამუშავებაშიო“,** – ბრძანა ბატონმა გურამმა და თავის უმცროს მეგობარს მადლობა მოახსენა.


სრულიად ყმაწვილმა წავიკითხე ბატონი გურამის მიერ თარგმნილი რაბლეს პირველი წიგნი და მას შემდეგ გავხდი ამ დიდი მთარგმნელის თაყვანისმცემელი... – ბრძანა გურამ ოდიშარიამ

კითხულობ რაბლეს და გაკვირვებული რჩები ენის სიმდიდრით. როცა საჭიროა, გმირები ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებით საუბრობენ, როცა საჭიროა – სასულიერო და როცა საჭიროა – ქალაქური სლენგით. ეს მთარგმნელის სიტყვის უზარმაზარ მარაგზე, გინდაც სალაროზე მეტყველებს. გურამ გოგიაშვილი კი ჩინებული მექართულეა. ამიტომაცაა რაბლეს გმირები ქართლურ დიალექტზე მოსაუბრენი, შიგადაშიგ კახური და იმერული დიალექტის მარგალიტებსაც რომ გაურევენ. სწორედ ეს ხდის დიდ ფრანგს შენს თანამედროვედ, ითავისებ მას და გგონია შინიონელი გენიოსი შუაგულ საფრანგეთში დევინიეს მამულში კი არ დაიბადა, შემდგომ ბერობის ორდენის წევრი და უფრო შემდგომ მედიცინის დოქტორი კი არ იყო, არამედ სადღაც მეთექვსმეტე საუკუნის შუაგულ ქართლში მესტვირე-მეფანდურეთა შორის გაიზარდა ქართულ კაფიობა-ზეპირსიტყვიერებასა და ხალხურ სიბრძნეს ნასაზრდოები. სწორედ ამითაა დიდი გოგიაშვილის რაბლე. **„დღე არ გავიდოდა, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში არ გვწვეოდა. ახალ გამოცემებს ჩაჰკირკიტებდა, იწერდა, უმეტესად ლექსიკონებსა და უძველეს ქართულ ხალხურ სიტყვებს დაჰფოფინებდაო“,** – გაიხსენებს საღამოზე პროფესორი **მაია რაფავა,** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ამაგდარი.

**„როდისღა ასწრებდა ამ ტიტანთან შეჭიდებას და მის ქართულ სულზე მორჯულებას ჩემი მეგობარი, როცა სარედაქციო საქმეებს შეჭიდებული თავისუფალ დროს მოლხენასა და ბოჰემურ ცხოვრებასაც არ ჩამორჩებოდაო. ალბათ, ღამეებს ათენებდა და მაშინ აქართულებდა ფრანგ ჰუმანისტს, იქნებ თავად რაბლე ჩასახლდა მის სულში და ის აწერინებდა მასზე არანაკლებ სარკაზმის ოსტატს გარგანტუასა და პანტაგრუელის ცხოვრების ამბავსო. თარგმანის პოეტური სული არც გამიკვირდება, რადგან გურამი ახალგაზრდობიდანვე პოეზიის, როგორც თავად შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ ლექსიკაში, გადმოენებით იყო გატაცებულიო,**
– ბრძანა ცნობილმა პოეტმა **ემზარ კვიტაიშვილმა.**

ცნობილი ლიტერატორი, მემუარული ლიტერატურის პროპაგანდისტი და ამ პროექტების განმახორციელებელი ბატონი **ზაზა აბზიანიძეც** არ იშურებს სამადლობელ სიტყვებს. მისეული შეფასება გადმოენებული რაბლესი აქ შეკრებილი საზოგადოების აზრსა და სათქმელს გამოხატავს. გამოსვლა და მოფერება კი ყველას სურდა...

* * *

ამ ანგარიშს, თერთმეტი თებერვლის თბილი საღამოს შეხვედრისას, ცოტა სევდიანადაც დავამთავრებ. ხელოვანის ყველაზე დიდი ხელშემწყობი და მის მიერ ყველაზე დიდი გაკეთებული საქმის თანამეზიარე ის ადამიანია, ვინც ხელს არ გიშლის მუზებთან ლაციცში და ამ ეპოქაში დროებით გადასახლებაში, სადაც შენი გმირები ცხოვრობენ. ეს ადამიანი კი ბატონი გურამის ახლახან გარდაცვლილი მეუღლე ქალბატონი **ლილი მალაციძე-გოგიაშვილი** გახლდათ, რომელიც გადმოემნებლის ოცდაათწლიან შუასაუკუნეებში გადასვლის ოდისეას ჩვეული რიდით, მოთმინებითა და ხელშეწყობით უძლებდა, უძლებდა იმ იმედით, რომ როდესმე დასრულდებოდა ის ტიტანური და ხშირად დაუფასებელი შრომა, რომელსაც მისი ცხოვრების თანამგზავრი შეეჭიდა. სწორედაც ამის გამო იყო, რომ ამ უშესანიშნავესი გამოცემის სასიგნალო ეგზემპლარით მარტოდმარტო ეწვია მეუღლის საფლავს რაბლეს ქართველი ჭირისუფალი და პირველად მას „ახარა“ დასრულება იმ თეთრად გათენებული ღამეებისა...

**მამუკა ვაშაკიძე.**

**გივი ჟოლბორდის ფოტოები**

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №1** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში — მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცეზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. საგარეჯო, კოსტავას ქ. №3, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 10 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. საგარეჯო, კოსტავას ქ. №3 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 323 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 32,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 265 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №2** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში — მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) უნდა განხორციელდეს ჭაბურღილის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა და შემოღობვა;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცეზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გიორგიწმინდას მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 10 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გიორგიწმინდას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 323 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 32,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 265 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №3** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) დამუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს მდ. აბანოს-ხევის ღვარცოფული ხასიათი;<br>ბ) ობიექტის დამუშავების პროცესში, მიმდებარე ტერიტორიაზე შენარჩუნებული უნდა იქნეს ნაპირსამაგრი გაბიონები და მიწაყრილები;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლაფანაანთკარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. აბანოს-ხევზე „აბანოს ხევის" (I და II უბანი) ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 144 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლაფანაანთკარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 19 429 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 942,9 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 4 086 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №4** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით;<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას არ უნდა დაზიანდეს მდინარის ხანაპიროზე არსებული ნაგებობები;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. კუშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქციაზე „კუშის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 23 400 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. კუშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 804 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 380,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 961 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №5** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოლაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მულხურაზე „ჭოლაშის" (I და II უბანი) ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 49 800 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოლაშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 7 109 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 710,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 622 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და |
| | დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №6** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) უნდა განხორციელდეს ობიექტის (ჭაბურღილი) შემოღობვა;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. გურჯაანი, ევდოშვილის ქ. №17-ში მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 20 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. გურჯაანი, ევდოშვილის ქ. №17 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 388 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 38,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 278 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №22** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) აკრძალულია ნარჩენი ფუჭი ქანის ჩაყრა მდ. ორაგვეს-ღელეს კალაპოტში, რათა გამოირიცხოს ღვარცოფული კერების წარმოქმნა;<br>ბ) გეოლოგიური პროცესების (ჩამოშვავება, ქვათაცვენა) თავიდან ასაცილებლად ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი საქმის წარმოების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ორაგვეს მიმდებარე ტერიტორია, „ორაგვეს" ტუფობრექჩიის (სადორეე ნედლეული) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 319 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ორაგვეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

# სატენდერო მოწვევა

საქართველო

**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მეორე პროექტი (SLRP II) (P122204)**
**სატენდერო მოწვევა № SLRP II/CW/NCB-15**

— — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

## პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტი ადგილობრივი მნიშვნელობის მცხეთა-შიო მღვიმის მონასტრის საგზაო მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის

1. საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის სესხი შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მეორე პროექტისათვის. აღნიშნული კრედიტის გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება მცხეთა-შიომღვიმის მონასტრის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის (მშენებლობა-პროექტირება) და შემდეგ მის, შედეგზე და შესრულებაზე დაფუძნებული საგზაო კონტრაქტის მეთოლოგიისათვის, გადასაცემად.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რათა წინასწარი და მიწის სამუშოების განსახორციელებლად და საფარის სარეაბილიტაციოდ დალუქული კონვერტებით წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სამშენებლო სამუშოების განხორციელების პერიოდია 6 თვე.

3. შემოთავაზებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არის **4,152,323.00 ლარი,** რომელიც მოიცავს ყველა სახის გადასახადებს, როგორც ეს დადგენილია ITB - 14.7. პუნქტით. თუმცა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების ფასი, რომელიც შეიძლება იყოს სავარაუდო ღირებულაზე ნაკლები ან მეტი. ბაზარზე არსებულ ფასებზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ შემოთავაზებული სამუშაოების განფასებაზე.

4. სამუშოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (**NCB**) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (**IBRD**) სესხების და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (**IDA**) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი) და სახელმძღვანელო პრონციპების თანახმად ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

5. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ ირაკლი ლითანიშვილს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

6. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარონ საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ 5,000,000 (ხუთი მილიონი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით;

ბ. ძირითადი კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში მინიმუმ ერთ ობიექტზე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშაოებს (სამუშაოთა მინიმუმ 80% დასრულებული უნდა იყოს) ღირებულებით არა ნაკლებ 4,000,000 (ოთხი მილიონი) ლარის ოდენობით;

გ. – არანაკლებ 65,000 $მ^2$ საფარის სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშოების შესრულება უკანასკნელი 5 (ხუთი) წლიდან რომელიმე ერთი წლის განმავლობაში;

დ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების, გარდა ავანსისა, ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ 800,000 (რვაასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით.

7. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის ინგლისური ვერსიის შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან მისი ექვივალენტის აშშ. დოლარში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის №200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800
სავალუტე ანგარიშის №001 189 362

აშშ. დოლარში გადახდისთვის:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
მიმღები აგენტი:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SWIFT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
IBAN: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მითითებული იქნას ს/გზის მონაკვეთის დასახელება).

მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

8. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 17 მარტის 17:00 საათისა ადგილობრივი დროით.** წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ წინადადებების გახსნას **2014 წლის 17 მარტის 17:00 სთ-ზე ადგილობრივი დროით.**

9. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 80,000 ლარის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობით. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის (90 დღე) გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში.

10. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, IV სართული, ოთახი №413.

ბ-ნი ირაკლი ლითანიშვილი, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
ტელ: + (995 322) 37-05-08, დამ. 305
ფაქსი: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# INVITATION FOR BIDS

Georgia

Second Secondary and Local Roads Project (SLRP II) (P122204)
Bid Invitation No: SLRP II/CW/NCB-15

— — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

## Design – Build and Transfer of Mtskheta-ShioMgvime Monastery Road Section Rehabilitation under Output- and Performance-based Road Contracting Methodology

1. Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Second Secondary and Local Road Project (SLRP II) and intends to apply part of the proceeds to eligible payments for contract for Design-Build and Transfer of Mtskheta-ShioMgvime Monastery Road Section Rehabilitation under Output and Performance-based Road Contracting Methodology

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for execution of preliminary and soil works and rehabilitation of pavement. Implementation period for execution of construction works is 6 months.

3. The estimated cost of proposed works is **GEL 4,152,323.00** including all taxes, duties and other governmental levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors, which may influence the pricing of the proposed works.

4. Procurement of works will be conducted through the procedures of National Competitive Bidding as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers (January, 2011) and is open to all eligible bidders as defined in the guidelines.

5. Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact Mr. Irakli Litanishvili, Vice-Chairman of the Roads Department of Georgia at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

6. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. Average annual construction turnover of at least 5,000,000 GEL (Five Million Georgian Laris) or equivalent over the last 3 (three) years;

b. experience as prime contractor in the construction of at least one work of a nature and complexity equivalent to the works over the last 3 (three) years (at least 80 % of works should be complete) with a value of at least 4,000,000 GEL (Four Million Georgian Laris);

c. At least 65,000 $m^2$ of pavement rehabilitation/construction completed in any one year within the last 5 (five) years;

d. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;

e. Liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments, which may be made under the Contract, of no less than 800,000 GEL (Eight Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent.

7. A complete set of bidding documentation in English language may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

For GEL transfer:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

For USD transfer
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: (Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia)
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name)

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

8. The Bids should be delivered at the address below not later than **March 17, 2014, 17:00** Hours local time. Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend bid opening on, **March 17, 2014, 17:00** Hours local time.

9. All bids should be submitted together with the Bid Securities for the amount of 80,000 GEL or equivalent in a freely convertible currency. Bid Security shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (90 days).

10. The Employer's address for the purpose of Bid submission is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia, IV Floor, Room #413.
Mr. Irakli Litanishvili, Vice-Chairman of Roads Department of Georgia
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08 ext.305
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

**სოჭი – 2014**



# ფურკადმა მე-2 ოქრო მოიპოვა

**ფრანგმა ბიატლონისტმა მარტენ ფურკადმა სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე მე-2 ოქროს მედალი მოიპოვა. მან ამჯერად 20 კმ-ზე ინდივიდუალურ რბოლაში იმარჯვა და ფრანგულ დელეგაციას მე-2 ოქრო მოუტანა.**

მორიგი დღე წარმატებული გამოდგა ჩინეთის ოლიმპიური ნაკრებისთვის, რომელსაც მანამდე მხოლოდ 1 ვერცხლი გააჩნდა, ამჯერად კი 2 ოქროს მედალს დაეუფლა. 500 მეტრზე შორტ-ტრეკზე ცზიაჟოუ ლიმ იმარჯვა, ხოლო 1000 მეტრზე ციგურებით სირბილში ჩჟან ჰუნი გაჩემპიონდა.

საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე კვლავაც გერმანიის ნაკრებია, რომელსაც უკვე 7 ოქროს მედალი მოუგროვდა. გერმანელებმა მორიგი ტრიუმფი საციგაო ესტაფეტაში იზეიმეს, სადაც ნატალი გაიზენბერგერმა, ფელიქს ლოხმა, ტობიას ვენდლმა და ტობიას არლტმა გაიბრწყინეს. 4-4 უმაღლესიჯილდოა კანადის, ნორვეგიის, ჰოლანდიისა და აშშ-ის დელეგაციების აქტივში

**ჩემპიონთა გალერეა**

**ფრისტაილი. კაცები. სკი-ლოუპსტაილი.** ჯონ კრისტენსენი (აშშ) 95.80.

**თხილამურებით რბოლა. ქალები. 10 კმ.** იუსტინა კოვალჩიკი (პოლონეთი) 27.17,8.

**შორტ-ტრეკი. ქალები. 500 მ.** ცზიაჟოუ ლი (ჩინეთი) 45,263.

**ციგურებით სირბილი. ქალები. 1000 მ.** ჩჟან ჰუნი (ჩინეთი) 1.14,02.

**ბიატლონი. კაცები. ინდივიდუალური რბოლა. 20 კმ.** მარტენ ფურკადი (საფრანგეთი) 49.31,7.

**ციგაობა. ესტაფეტა.** გერმანია (გაიზენბერგერი, ლოხი, ვენდლი, არლტი) 2.45,649.

**ბეჟან დოლიძე**

**ის იქ არის**

# ელენე გედევანიშვილი და მისი მწვრთნელი სოჭში კანადიდან ჩავიდნენ

**გუშინ დილით სოჭში, ოლიმპიადაზე ჩაფრინდა ცნობილი ქართველი მოციგურავე, 2010 და 2012 წლების ევროპის ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი, 2006 და 2010 წლების ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ელენე გედევანიშვილი.**



**ელენე სოჭს კანადიდან ეწვია, სადაც საოლიმპიადო მომზადებას გადიოდა. ის და მისი მწვრთნელი ედუარდ პლინერი სტამბოლიდან ადლერში ტრანზიტით ჩაფრინდნენ.**

წვრთნებს ელენე იქ გააგრძელებს, ხოლო მისი გამოსვლა ოლიმპიადაზე 19 და 20 თებერვალსაა დაგეგმილი. ზოგიერთი მკითხველი იკითხავს: რატომ ჩავიდა ელენე სოჭში ოლიმპიადის დაწყებიდან ერთ კვირაში? საქმე ის არის, რომ ოლიმპიადისთვის მზადებისას ასე ბევრი მოციგურავე იქცევა – იმ ქვეყნებში ემზადებიან, სადაც მათ უფრო მეტი დრო აქვთ ყინულზე წვრთნებისთვის.

ელენეს ჩასვლა სოჭში დიდ დაინტერესებას იწვევს: მის შესახებ ხშირად კითხულობენ როგორც რუსი, ისე დასავლელი ჟურნალისტები და ეს არც არის გასაკვირი: გედევანიშვილი ყველაზე ტიტულოვანი მოქმედი ქართველი სპორტსმენია ზამთრის სახეობებში. წინა ოლიმპიადებზე მან მე-10 და მე-14 ადგილები, ხოლო ევროპის ჩემპიონატებზე ორჯერ ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

რა შედეგს მიაღწევს ამ ოლიმპიადაზე, არავინ იცის. ბევრს იმედი აქვს, რომ ელენე მინიმუმ ათეულში მოხვედრას შეძლებს, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში მეხუთე ადგილისთვის იბრძოლებს. მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია თვით ელენეზე, ღმერთზე და განსაკუთრებით მსაჯებზე, რადგან სპორტის ამ სახეობაში მსაჯები ბევრს წყვეტენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ჩემპიონი**

# გელა კეტაშვილის დაუვიწყარი თამაში „ლიდერბეთში“ გაიხსენეს

**როდესაც გულშემატკივრები გელა კეტაშვილზე საუბრობენ, წინა პლანზე მის მიერ სპორტული კარიერის ნაადრევად დასრულებას უსვამენ ხაზს. ცხადია, 90-იანი წლების დასაწყისში მოვლენები სხვაგვარად რომ განვითარებულიყო, ბატონი გელა თავისი საფეხბურთო ტალანტის სრულად გამოვლენასაც შეძლებდა და ქომაგებს კიდევ არაერთი შესანიშნავად ჩატარებული მატჩით დაამახსოვრებდა თავს. თუმცა, ერთიცაა – 25 წლამდე კეტაშვილმა იმდენი მოასწრო, ფეხბურთის ქართველ მოყვარულებს მისი სიყვარული დღემდე არ განელებიათ და დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, კეტაშვილის მაღალოსტატური, ცეცხლოვანი, თავგანწირული თამაში სამომავლოდაც ემახსოვრებათ.**




გელა კეტაშვილის საფეხბურთო ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი სეულის 1988 წლის ოლიმპიადას უკავია. ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე თბილისის „დინამოს“ მარჯვენა მცველმა საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო. თითქოს, სეულში კეტაშვილის გამგზავრება არარეალური ჩანდა, მაგრამ საკავშირო ოლიმპიური ნაკრების მთავარ მწვრთნელს ანატოლი ბიშოვეცს ქართველი უკანახაზელი იმდენად სჭირდებოდა, თბილისში ექიმები აფრინა, რომელთაც კეტაშვილის წინასაოლიმპიადოდ „ფეხზე დაყენება“ მოასწრეს. საბჭოთა ნაკრებმა წარმატებით დაძლია ჯგუფური ეტაპი, მეოთხედფინალში ავსტრალიას მოუგო, ტურნირის დასკვნით ეტაპს კი თავად ოლიმპიური ჩემპიონი ასე იხსენებს: „ნახევარფინალში იტალიელებს შევხვდით და რუჯერო რიციტელის მეურვეობა მომიწია. საბოლოოდ აპენინელებს მეტად დაძაბულ, ოვერტაიმიან ორთაბრძოლაში ვძლიეთ. იტალიელებთან თამაშის დღეს, 27 სექტემბერს, ჩემი დაბადების დღე იყო, ხოლო პირველ ოქტომბერს ოლიმპიადის ფინალი გახლდათ დანიშნული. ფინალის წინ ბიშოვეცმა საკუთარ კაიუტაში დამიძახა და მითხრა, რომ დაბადების დღისთვის ჩემთვის საჩუქარი ჰქონდა გამზადებული. ბუნებრივია, გამიხარდა, რადგან ვიფიქრე, ბიშოვეცი რაიმე ნივთს მაჩუქებდა. მან კი შემომხედა და ასეთი ფრაზა თქვა: რომარიოს გჩუქნი – პერსონალურად უნდა აიყვანო!.. ამის გაგონებაზე თავში ხელი შემოვიკარი, რადგან რომარიოს წინააღმდეგ თამაში ნებისმიერი მცველისთვის უდიდეს სირთულეს წარმოადგენდა. რამდენი თავდამსხმელი ამიყვანია, მაგრამ მსგავსი არაფერი მინახავს. საკმარისი იყო, წამით ბურთისკენ გამეხედა, რომ რომარიო მყისვე ჩემს ზურგს უკან აღმოჩნდებოდა. თამაშის დასრულებისას ბუცებზე არც ერთი „შიპი“ აღარ მქონდა და ფეხებიდან „ბოლი გამდიოდა“. მეორე გოლი პირველი დამატებითი ტაიმის ბოლო წუთზე გავიტანეთ, ხოლო მეორე დამატებითი ტაიმი ჩემი ცხოვრების 15-წუთიანი კოშმარი აღმოჩნდა, რომელსაც ყველამ გავუძელით და ჩემპიონები გავხდით“.

ბოლომდე მოურჩენელი ტრავმის მიუხედავად, გელა კეტაშვილმა ტურნირზე ყველა მატჩი შეუცვლელად ჩაატარა, ბრაზილიელებთან გადამწყვეტი გოლი კი იური სავიჩევმა სწორედ კეტაშვილის მიერ თამაშში ბურთის შეყვანის შემდეგ გაიტანა. ოლიმპიადიდან რამდენიმე წლის შემდეგ რომარიო დანანებით იტყვის, ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, სეულში ოქროს მედალი რომ ვერ ავიღეო და ამაში უპირველეს „დამნაშავედ“ საკავშირო ნაკრებში ორნომრიანი მაისურით მოთამაშე მცველი სცნო. ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ ბრაზილიელთა იმ ფორმაციის ნაკრებში კარეკა, ბებეტო, კლაუდიო ტაფარელი თამაშობდნენ...

ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ გელა კეტაშვილს წილად ხვდა პატივი საქართველოს ეროვნული გუნდის პირველ მატჩში თანაგუნდელებს მინდორზე კაპიტნის სამკლაურით გაძღოლოდა.

ფეხბურთში ქართველთაგან ერთადერთ ოლიმპიურ ჩემპიონ გელა კეტაშვილს ტოტალიზატორ „ლიდერბეთში“ მოუწყვეს შეხვედრა. ქუთაისის „ტორპედოს“, თბილისის „დინამოს“ და საკავშირო ნაკრების ვარსკვლავის თამაში ბატონი გელას პარტნიორებმა და ჟურნალისტებმა გაიხსენეს. ვეტერანმა ფეხბურთელებმა ვახტანგ ქორიძემ, გიორგი ჭილაიამ, გრიშა ცაავამ, გია ჯიშკარიანმა, კახა გოგიჩაიშვილმა, ჟურნალისტებმა დავით ქლიბაძემ, ბიძინა ბარათაშვილმა, გიორგი გორგოძემ, გოჩა კაჭარავამ, სოლომონ გულისაშვილმა, ილია ბაბუნაშვილმა, მიხეილ აბაიშვილმა, გიგა გვენცაძემ, ლევან სალუქვაძემ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვეს გელა კეტაშვილის ბრწყინვალე თამაშსა და მისი პროფესიული, პატრიოტული პიროვნული თვისებებიც საგანგებოდ გამოარჩიეს...

**გიორგი შოთაძე**

**ვითარება**

# შუმახერს ფილტვების ანთება აქვს

**არაა გამორიცხული, რომ მიხაელ შუმახერის მართული კომიდან გამოყვანის პროცესი დროებით შეჩერდეს, რადგან, როგორც ირკვევა, მას ფილტვების ანთება აქვს. გაზეთ „ბილდ-ცაიტუნგის“ ინფორმაციით, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს ამჟამად ანტიბიოტიკებით მკურნალობენ.**



„ვითარება ჯერაც გაურკვეველია. ჩვენ არ ვიცით, კომიდან გამოყვანის პროცესი შეფერხდა თუ ინფექციის მკურნალობის პარალელურად გრძელდება“, – ნათქვამია გაზეთის ინფორმაციაში. ამ საკითხთან დაკავშირებით კვლავ არაფერს ამბობს შუმახერის პირადი პრესმდივანი და მენეჯერი საბინე კემი, ვინც დაჟინებით იმეორებს, რომ ოფიციალურ განცხადებას მხოლოდ ექიმები გააკეთებენ და ისიც მაშინ, როცა საჭიროდ ჩათვლიან.

ჰამბურგის ჰოსპიტლის პროფესორი ჰაინც-პეტერ მიოკე „ბილდთან“ საუბრისას აცხადებს: „პნევმონია ძალიან რთული და სახიფათო დაავადებაა, რადგან ორგანიზმს ჟანგბადით ფილტვები ამარაგებს, პნევმონიის დროს კი ჟანგბადის მიწოდება შეფერხებულია და ორგანიზმი სუსტდება“. მისი თქმით, პაციენტებს კომაში ყოფნისას პნევმონია საკმაოდ ხშირად ემართებათ, რადგან სხეული უმოძრაოდაა და ამოხველებას ვერ ახერხებს.

„ჯანმრთელ ადამიანს წუთში რამდენჯერმე დახველება და გადაყლაპვა შეუძლია და ამას ისე აკეთებს, არც აკვირდება. არადა, ასე ფილტვებს იცავს, კომაში ყოფნისას კი ეს არ ხდება და ამას ფილტვებში ვირუსის შეღწევა მოსდევს“, – დასძენს მიოკე.

**მანუჩარ გიორგაძე**

**ინტერნეტიდან**

# კლაუდია შიფერს ამერიკული ფეხბურთი არ მოსწონს



**პოპულარული გერმანელი მოდელი კლაუდია შიფერი, რომელიც უკვე წლებია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალთან საუბარში, ცოტა არ იყოს, ირონიულად ლაპარაკობს ამერიკაში პოპულარულ სპორტის სახეობებზე და ამ სახეობების გულშემატკივრებზე.**

კლაუდია შიფერის აზრით, გაურკვეველია, რატომ უყვართ ამერიკელებს ასე ძალიან ამერიკული ფეხბურთი, როდესაც სპორტის ამ სახეობაზე ბევრად უფრო საინტერესო და დინამიური სპორტის სახეობები არსებობს. იგი ასევე ამბობს იმასაც, რომ თავად ყველაზე მეტად სპორტის ზამთრის სახეობები მოსწონს.

ამჟამად, რა თქმა უნდა, კლაუდია შიფერის პოპულარობა ჩანავლებული ნაკვერჩხალივითაა და მისი სახელი ბევრ ახალგაზრდას არაფერს ეუბნება. არადა, იყო დრო, როდესაც კლაუდია შიფერის გამოჩენას კი არა, სახელის ხსენებასაც კი მრავალთა გულის თრთოლვა მოჰყვებოდა ხოლმე. ეჰ წლები, წლები...

**როსტომ რაჭველიშვილი**

## პოზიცია

**ეს სიტყვები ამოღებულია ახლახან დასტამბული წიგნიდან „მასალები" „საბრალდებო დასკვნისთვის", რომლის ავტორი ეკონომისტი და პუბლიცისტი ანზორ ბაბუხადია გახლავთ. მაინც რისი მტკიცება და კეთება ვერ შეძლო მაღალი პროფესიონალიზმითა და ერუდიციით დაჯილდოებულმა სპეციალისტმა, რომელმაც განვლო გზა რიგითი ეკონომისტიდან საქართველოს მთავრობის მთავარ სახელმწიფო მრჩევლამდე, არ გაინტერესებთ? გადაშალეთ ეს ნაშრომი, რომ აღარაფერი ვთქვათ ავტორის მიერ მანამდე გამოცემულ ექვს წიგნზე და ამ კითხვაზე პასუხს უმალ ამოიკითხავთ.**




# „ვერ შევძელი იმის მტკიცება და კეთება, რაც თავად არ მწამდა"

ვინც ანზორ ბაბუხადიას იცნობს, ვისაც პირადად მოუსმენია ქვეყნის ეკონომიკის მართვასა და განვითარების საკითხებზე მისი დასაბუთებული და გაანალიზებული მსჯელობა, გაუძნელდება წარმოიდგინოს, რომ მას ვინმესთვის რაიმეს დამტკიცება გაუჭირდება. ჩვენდა სავალალოდ, აი ჩვენს ხელისუფებას კი (ადრინდელსაც და გვიანდელსაც) რატომღაც გაუჭირდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ყოველთვის ეფუძნებოდა და ახლაც ეფუძნება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (სსფ, მსოფლიო ბანკი და სხვები) რჩევა-ინსტრუქციებს, სამშობლოს პატრიოტი ბაბუხადიასი კი — ტრადიციული დახმარების განვითარებითა და ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით ქართული ეკონომიკის აღორძინების შესაძლებლობებს.

ავტორი წიგნში იხსენებს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მისი დამოკიდებულების ნიშანდობლივ ეპიზოდს. **„ის მხარე,** — წერს ანზორ ბაბუხადია, **— ყველა საკითხს სუფთად საბაზრო პრინციპებით უდგებოდა და ქვეყნის წეს-ჩვეულებების, ქართველი კაცის ბუნების, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის თავისებურებების შესახებ არაფრის მოსმენა არ აინტერესებდა. უფრო მეტიც, იმასაც ვერ იგებდა, რომ, თუ გლეხისთვის საზამთრო ან მზესუმზირა უფრო მეტი მოგების მომტანი იქნებოდა, რატომ არ უნდა აეჩეხა ვენახი და რატომ არ უნდა მოეყვანა მის ნაცვლად უფრო მეტი მოგების მომტანი სხვა კულტურა. და როგორ გინდა გააგებინო უცხო კაცს, თუ რას ნიშნავს საქართველოსთვის, თუნდაც ნებისმიერი გლეხისთვის „შვილივით ნაზარდი ვაზის" აჩეხვა"?**

ჰოდა, იყო უკომპრომისო აზრთა ჭიდილი და ჯახაჯუხი მინისტრთა კაბინეტისა თუ მთავრობის სხდომებზე, როცა ამა თუ იმ მწვავე საკითხზე ანზორ ბაბუხადიას უხდებოდა საკუთარი პოზიციის დაცვა, მით უმეტეს, თუ ის ხელმძღვანელის პოზიციას ეწინააღმდეგებოდა, გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ჯერ ერთი, როგორც მთავრობის მთავარ სახელმწიფო მრჩეველს, გარკვეული ტაქტისა და ეთიკის ნორმების დაცვა ევალებოდა. მეორეც, საკითხი ისე დეტალურად და ზედმიწევნით მაღალპროფესიულად უნდა ყოფილიყო შესწავლილი და გაანალიზებული, რომ იქ დამსწრეთაგან მაღალი რანგის სპეციალისტის ნათქვამის ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის შეპარვოდა.

მე პირადად ეჭვი არ შემპარვია მისი პოზიციის უტყუარობასა და რეალურობაში და, ვფიქრობ, არც, ალბათ, იმათ, ვინც მთავრობას ყასიდად ელაქუცებოდა და უცხოელ „კეთილის მსურველებს" გუნდრუკს უკმევდა. ამის თაობაზე არაერთხელ მითქვამს და გამიხმაურებია ჩემს კრიტიკულ წერილებსა და სტატიებში, აგრეთვე, ბატონ ანზორთან გაკეთებულ ინტერვიუებში, რომლებიც წლების მანძილზე ქვეყნდებოდა „საქართველოს რესპუბლიკაში" და რომლებიც მწვავედ სუსხავდნენ მთავრობის მიერ ეკონომიკაში გადადგმულ მცდარ და დანაშაულებრივ ნაბიჯებს. ამის დასტურად გამოდგება იმ სტატიებისა და ინტერვიუების სათაურებიც კი, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდებოდა პრესის ფურცლებზე და იკინძებოდა წიგნებად.

ახლა „ღია წერილებში", რომლებითაც პირადად თუ პრესის საშუალებით, მოუსვენარი ანზორ ბაბუხადია მოსვენებას არ აძლევდა ქვეყნის პრეზიდენტსა თუ პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის სპიკერს, მინისტრებსა თუ მწერლებს. შედეგი იმისა, რომ ხელისუფლება არ უსმენდა ბაბუხადიასნაირ სპეციალისტებსა და პროფესიონალებს, ფრიად დამაჯერებელია. ამჟამად სახელმწიფო მართვის არც ერთ რგოლში ერთი საშტატო ერთეულიც კი აღარ არსებობს, რომელსაც ოფიციალურად ევალებოდეს მცირე და საშუალო მეწარმეობის პრობლემებზე ზრუნვა, მაშინ, როცა მსოფლიოში ვერ ვნახავთ ქვეყანას, სადაც ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სეგმენტის საქმიანობას არ ხელმძღვანელობდეს სპეციალური სამინისტრო, კომიტეტი ან დეპარტამენტი მაინც. 2006 წლიდან დღემდე მოსახლეობის მთავარ დამსაქმებელი მცირე მეწარმეობა აღარ ფინანსდება და სწორედ ამიტომ წალეკა უმუშევრობამ მთელი საქართველო. ნიშანდობლივია, რომ დღეს საქართველოში ყოველ ათას მოსახლეზე 7 მცირე საწარმო მოდის, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში — 40; მცირე საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიან პროდუქციაში საქართველოში 10 პროცენტს არ აღემატება, ევროკავშირის ქვეყნებში კი 55 პროცენტს აჭარბებს. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე განვითარებულ ქვეყნებში 13 ათასი დოლარია, ხოლო საქართველოში 200-300 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ქვეყანაში უმუშევრობა და სიღატაკე თვიდან თვემდე იზრდება, მატულობს ადრე მოქმედი და ამჟამად დახურული ობიექტების რაოდენობა, მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი დაუმუშავებელია, ხოლო სოფლები — დაცარიელებული.

აი, სადამდე შეუძლია მიიყვანოს უდიდესი ბუნებრივი რესურსებისა და შესაძლებლობების მქონე ქვეყანა, როცა მას არაკომპეტენტური, უნიათო და დანაშაულებრივად მტარვალი ხელისუფლება მართავს (ლაპარაკია ნაცების 9-წლიან მმართველობაზე და არა მარტო მასზე). როცა ისეთ მამულიშვილსა და თვალსაჩინო პროფესიონალს, როგორიც ანზორ ბაბუხადია გახლავთ, არ აძლევენ იმის მტკიცებისა და კეთების საშუალებას, რაც მას სჯერა და სწამს. ალბათ, ამან უბიძგა ავტორს თავისი ბოლო წიგნისთვის სრულიად მართებულად ეწოდებინა „მასალები „საბრალდებო დასკვნისთვის".

**ოთარ ხუციშვილი**

## გახსენება

# პეტრე მაისურაძე



ტირილითა და ცრემლებით, ტანჯვით, გამოუთქმელი მწუხარებით, ენით აუწერელი სიყვარულით და ტკივილით გილოცავ იუბილეს... ძალიან მიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი, მენატრები უერთგულესო მეუღლევ, უძლიერესო მამავ, უკეთილშობილესო პაპავ და ყველასათვის საიმედო ადამიანო. უშენოდ ჩემს ცხოვრებას ბინდი გადაეფარა. ცოცხლად თუ ვითვლები, მხოლოდ გასახსენებლად იმ სანუკვარი დღეებისა, რომლებიც შენთან ერთად გამიტარებია შვილებთან ერთად. მე-19 წელია, უშენოდ ვაგრძელებ ცხოვრებას და გული მტკივა, რომ ჩვენს განებივრებულ ქალიშვილს გვერდით აღარ ყავს მამა, ძმები, მეუღლე და მეც უკვე მის ტვირთად ვიქეცი. მხოლოდ ის მაიმედებს, რომ მისი ვაჟკაცები — კეთილშობილი ბიჭები ლაშა და დაჩი, რომლებიც ერთდროულად დაოჯახდნენ და შესაფერისად მშვენიერი გოგონები — ორი უსაყვარლესი სალომე დაიყენეს გვერდით, ისინი გაახარებენ ჩვენს მანანას. იგი ხომ შენსავით თავდაუზოგავად იბრძვის იმისთვის, რომ შვილები ყავდეს ბედნიერი. მე ვლოცულობ ამისთვის და მჯერა, შენც შენს ულამაზეს ვაჟკაცებთან ერთად, ილოცებ მათი სიკეთისათვის. მამუკას სოფო, შენი უსაყვარლესი შვილიშვილი, ისევ პარიზში აგრძელებს სწავლას და შრომას. თუ მის ბედნიერებასაც მოვესწარი, გულდალხენილი მოვალ თქვენთან... მალხაზის ქალიშვილებიც კარგად არიან. იმედი მაქვს, ისინიც გაგიხსენებენ და ანთებული სანთლებით მოგილოცავენ 80 წლის იუბილეს.

მეტის წერა აღარ შემიძლია... ერთი სული მაქვს, როდის ჩაგეხუტები, ჩემო ერთადერთო სიყვარულო და იმედიანო რაინდო...

ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

**სიყვარულით, შენი თინიკო**
**(თინათინ ბაზლიძე-მაისურაძე)**

## ალიან-ჩალიანი

### თბილისის იუსტიციის სახლი, სავარაუდოდ, აპრილში გაიხსნება

**ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომელმაც მოადგილესთან ერთად იუსტიციის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.**

**თეა წულუკიანი და მისი მოადგილე მიხეილ სარჯველაძე სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობას ექსპერტებთან და სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის წამომადგენლებთან ერთად გაეცნენ.**



**წულუკიანის განცხადებით, სამუშაოების მიმდინარეობას აქვს ერთადერთი მიზანი, რაც შეიძლება სწარაფად გაიხსნას მოქალაქეებისთვის თბილისის იუსტიციის სახლის მისაღების დიდი დარბაზი.**

**როგორც მინისტრმა აღნიშნა, სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, რაც გულისხმობს იმას, რომ მოქალაქეებს არანაირი საფრთხე არ დაემუქროთ.**

**ამჟამად, იუსტიციის სახლის სახურავის ე.წ. ფოთლის შიდა ნაწილში შედუღებითი სამუშაოები მიმდინარეობს, შენობას ემატება საყრდენი კონსტრუქციები.**

**როგორც სამინისტროში აცხადებენ, შიდა ნაწილი ეტაპობრივად სუფთავდება თავის დროზე სიჩქარის გამო დატოვებული სამშენებლო მასალების ნარჩენებისგან. ამასთან, ერთდროულად ხდება სახურავის დაზიანებული ნაწილის შეფუთვაც.**

**იუსტიციის სახლის სახურავის სარეაბილატაციო სამუშაოების შემდეგ მინისტრმა ავტოსადგომიც დაათვალიერა, სადაც სარემონტო პროცესები უკვე დასრულებულია.**

**თეა წულუკიანმა პარკინგის ქვედა დონეც დაათვალიერა, სადაც ამ ეტაპზე კომუნიკაციების მონტაჟი და ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს.**

### აკრეფილი გადასახადების მოცულობა 14%-ით არის გაზრდილი

**მიმდინარე წლის იანვარში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ექსპორტი 22%-ით, იმპორტი კი 17% -ით არის გაზრდილი, — ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე განაცხადა.**

**ნოდარ ხადურის თქმით, იანვრის მონაცემები საბოლოოდ შეჯამებული ჯერ არ არის, თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, დაახლოებით 20%-ით არის გაზრდილი დღგ-ს ბრუნვა. მინისტრი აღნიშნავს, რომ საბოლოო მონაცემები მომავალ კვირას გახდება ცნობილი.**

**ინტერპრესი**

# მერობის კანდიდატი საკრებულოს არჩევნებში კენჭს ვეღარ იყრის

**თბილისის მერობის კანდიდატი იმავდროულად თბილისის საკრებულოს არჩევნებში კენჭს ვერ იყრის და, პირიქით, საკრებულოს სიაში მყოფი პირი მერობის კანდიდატი ვეღარ იქნება. ეს წესი შემოდის როგორც საკუთრივ თბილისთან, ასევე სხვა თვითმმართველ ქალაქებთან და მუნიციპალიტეტებთან მიმართებაშიც, სადაც მერები და გამგებლები პირდაპირი წესით აირჩევიან.**

ასეთი შეზღუდვა, რომელიც ახლა პარლამენტში ინიცირებული პროექტით შემოდის, აქამდე არ არსებობდა. საარჩევნო სუბიექტის მიერ დასახელებულ დედაქალაქის მერობის კანდიდატს შეეძლო, იმავდროულად საკრებულოს სიაშიც ყოფილიყო.

პროექტში კი, წერია, რომ თბილისის საკრებულოს არჩევნებში კანდიდატად წარდგენილი პირი არ შეიძლება იმავდროულად წარდგენილი იყოს თბილისის მერის, სხვა თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს, მერისგამგებლის არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობისთვის. ანალოგიური რამ განსაზღვრულია სხვა თვითმმართველ ერთეულებთან მიმართებითაც.

როგორც ამასთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსს" ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელმა ზვიად ძიძიგურმა განუმარტა, მართებული არ არის ერთი და იგივე პირი, ერთდროულად, ორ არჩევით თანამდებობაზე იყრიდეს კენჭს.

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები კი მიიჩნევდნენ, რომ მმართველი გუნდის მიერ ინიცირებული შეზღუდვა პარტიებს დააზარალებს. უმცირესობის წევრი ხათუნა გოგორიშვილი იმასაც ამბობს, რომ ამგვარი აკრძალვა კონკრეტული პირების გამო კეთდება.

— მერობის კანდიდატი ყოველთვის კამპანიის ლიდერია და ეს პარტიებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა სურთ, ის იძულებული გახადონ, იყოს მხოლოდ მერობის კანდიდატი და შემდგომ ვერ მოხვდეს საკრებულობაში ან პირიქით — თუ საკრებულოს სიაში იქნება, როგორც მერობის კანდიდატმა კამპანიას „ორთქლმავლობა" ვეღარ გაუწიოს. ეს არის ცვლილება, რომელიც კონკრეტული ადამიანისთვის კეთდება, — მიიჩნევს ხათუნა გოგორიშვილი.

საარჩევნო კამპანიის პროცესში მერობის კანდიდატის „ორთქლმავლობის" შეზღუდვაზე ამახვილებს ყურადღებას „ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელი ლევან ვეფხვაძეც.

— აქამდე შეიძლებოდა ერთი და იგივე პირი მერობის კანდიდატიც ყოფილიყო და სიის პირველი ნომერიც, მაგრამ, როცა უკვე არჩევანის წინაშე დგები, პარტიებს მერობის კანდიდატების მხრივ პრობლემა შეექმნებათ — მერობის კანდიდატობის მხრივ კანდიდატი, შესაძლოა, მხოლოდ მონაწილეობაზე იყოს ორიენტირებული, მოცემულ შემთხვევაში კი, მას მხოლოდ საკრებულოს არჩევნებში კენჭისყრის სურვილი ექნება. ამ დროს, იდეაში, მერობისა და გამგებლობის კანდიდატები საარჩევნო კამპანიის ორთქლმავლები უნდა იყვნენ, რადგან ადგილობრივ არჩევნებში რეალური კამპანია სწორედ ამ კანდიდატებს შორის იმართება, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

◉ სულიერება

# უდიდესი საუფლო დღესასწაული – მირქმა (მიგებება) მაცხოვრისა



**15 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მირქმას (მიგებებას) დღესასწაულობს**

**...იესო ქრისტე ორმოცი დღის რომ გახდა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და მისი დამწინდველი იოსები ტაძარში მივიდნენ. წესისამებრ 40 დღე ახალნამშობიარევ დედას არა აქვს უფლება ტაძარში იაროს, ვიდრე არ წაეკითხება განწმენდის ლოცვები.**

...დედა ღვთისმშობელს განწმენდის ლოცვები არ სჭირდებოდა, რადგან ქალწულად დარჩა, მაგრამ მაინც შეასრულა ღვთის კანონი.

მართალი იოსები და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ჩვილით – იესოთი მივიდნენ ტაძარში. მათ იქ შეხვდა და მიირქუა იესო სულიწმინდის მადლით ცხებულმა სვიმეონმა. სვიმეონი იყო ერთ-ერთი 70 ებრაელთაგანი, რომელთაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე ეთარგმნათ ბიბლია...

მართალ სვიმეონს წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა და როცა მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც წერია: „...ჰა, მუცლადღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“, ეგონა, რომ წიგნში გაპარული იყო შეცდომა, რადგან შეუძლებლად ჩათვალა, ქალწულს ეშვა ძე, სვიმეონმა ადგილის შეცვლა განიზრახა... მოულოდნელად, მას უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ვერ იხილავ სიკვდილს ვიდრე არ ნახავ ქალწულისგან შობილ მაცხოვარს“. სვიმეონი 360 წლის იყო, როცა იერუსალიმის ტაძარში მიყვანილ მრავალ ბავშვს შორის სულიწმინდის კარნახით შეიცნო მაცხოვარი და შემდეგი სიტყვებით მიეგება: „აწ განუტევე მონაი შენი, მეუფეო სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარებაი შენი“.

საგულისხმოა, რომ მართალ სვიმეონთან ერთად ტაძარში იმყოფებოდა 84 წლის ქვრივი – ანა წინასწარმეტყველი. ანაც გახდა უფლის მირქმის (მიგებების) ღირსი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „...ყველა მორწმუნეს აქვს უფალთან შეხვედრის საშუალება, ეს კი ხდება ტაძარში მისვლით, აღსარებითა და ზიარებით.

თბილისის მაცხოვრის მირქმის სახელობის ტაძარში ასეთი საუფლო დღესასწაულს განსაკუთრებული ზეიმით ხვდება მორწმუნე მრევლი.

# უძღები შვილის კვირიაკე



**16 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს იგავს, რომელიც უძღებ შვილს შეეხება.**

...იგავში მოთხრობილია, რომ ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა. ერთხელ უმცროსმა შვილმა სთხოვა მამას მიეცა მისთვის თავისი წილი. მამამ ორივე შვილს გაუყო თავისი ქონება... უმცროსმა ვაჟმა ყველაფერი შეკრიბა, შორეულ მხარეს გაემგზავრა და იქ გაფლანგა მთელი თავისი ავლა-დიდება.

გავიდა ხანი, ვაჟი გონს მოეგო და თქვა: „მამაჩემის მოჯამაგირეებს თავზე საყრელად აქვთ პური, მე კი აქ შიმშილით ვკვდები... არა ვარ ღირსი შენი ძე მერქვას, მოჯამაგირედ დამიყენე“.

შორეული ქვეყნიდან ჩამოსულ შვილს მამა კეთილად შეხვდა, შეებრალა იგი და მიუბრუნდა თავის მონებს და უთხრა: „მოიტანეთ სამოსელი პირველი და შემოსეთ იგი, გაუკეთეთ ბეჭედი და ხამლი ჩააცვით, დაკალით ნასუქი ხბო, ვჭამოთ და ვიმხიარულოთ, რადგან ძე ჩემი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, გადაკარგული იყო და გამოჩნდა“.

თავის მხრივ, უძღები შვილი მამამისს გადაეხვია, კისერზე შემოეჭდო და კოცნიდა.

საგულისხმოა, რომ ეკლესიის წიაღში დასაბრუნებლად კი აუცილებელია სინანულის ისეთი განცდა, როგორიც უძღებ შვილს ჰქონდა.:

უძღები შვილის კვირიაკეში მარხვისთვის მზადება იწყება.

**გიული ლიპარტია**

◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### ლარის გამყარებას ფასების შემცირება არ მოჰყვება

ლარის კურსის გამყარება ფასებზე გავლენას ვერ მოახდენს. მოვაჭრეებს ეშინიათ, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურება ისევ გაგრძელდეს, რის გამოც პროდუქციის გაიაფებას არ აპირებენ. ყოველ შემთხვევაში სავაჭრო სფეროს წარმომადგენლები ჯერჯერობით არ ჩქარობენ. მათი თქმით, სარეალიზაციო პროდუქტის უმეტესობა ძვირად აქვთ შესყიდული და ამ ეტაპზე ვერ გააიაფებენ. თუმცა, ლარის კურსის გამყარება რამდენიმე კვირის, ან თვის განმავლობაში თუ გაგრძელდება, ფასების გადახედვა თანდათან დაიწყება, განსაკუთრებით კი იმპორტული ნაწარმის შემთხვევაში.

„რეზონანსი“

### რამდენით შეუმცირებს ღარიბაშვილი სახელმწიფო ორგანიზაციებს „გაბერილ“ ხელფასებს

როგორც „ალიასთვის“ გახდა ცნობილი, პრემიერ-მინისტრთან არსებული ეკონომიკური საბჭო სსპ-სა და სახელმწიფო შპს-ში მომუშავე პირთა ხელფასების საკითხის შესწავლას რამდენიმე კვირაში დაასრულებს. რაც შეეხება ხელფასების რაოდენობის შემცირებას, როგორც „ალიას“ პრემიერ-მინისტრის აპარატთან დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, ხელფასები 25-დან 35-პროცენტამდე შემცირდება.

„ალია“

### 100 ათასი ლარი ჯილდო იმას, ვინც „საბაში“ ხანძრის რეალურ შემკვეთსა და შემსრულებელს დაასახელებს!

სს „ელექტროპლასტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, სავაჭრო სახლ „საბას“ მფლობელი პაატა კაჭარავა, სენსაციურ განცხადებას აკეთებს – მეწარმე, რომელიც ზუსტად ერთი წლის წინ, 2013 წლის 26 თებერვალს „საბაში“ გაჩენილმა ხანძარმა 7 მილიონით დააზარალა, მზადაა, 100 ათასი ლარის ჯილდო დააწესოს მისთვის, ვინც ხანძრის შემკვეთისა და შემსრულებლის შესახებ გამოძიებას უტყუარ ინფორმაციას მიაწვდის. პაატა კაჭარავას დაწესებული ჯილდო ძალაში ერთი წლის განმავლობაში, ანუ 2015 წლის 26 თებერვლამდე იქნება. პაატა კაჭარავას ადვოკატის ალექსანდრე ალადაშვილის განმარტებით, ინფორმატორმა, რომლის ვინაობაც არ გახმაურდება, გამოძიებას მტკიცებულებები უნდა მიაწოდოს და 100-ათასიანი ჯილდო მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიცემა.

„ვერსია“

◉ ინფორმაცია

### შსს-ს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსს პატიმრობა შეეფარდა

შს სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსს გიორგი ბაჯელიძეს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოში მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა მიიღო.

მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, კერძოდ, გიორგი ბაჯელიძეს ადვოკატი აღმკვეთ ღონისძიებად 10 000-ლარიან გირაოს შეფარდებას ითხოვდა. პროკურატურამ კი სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, რომ ბაჯელიძეს პატიმრობა შეეფარდებოდა. ჯერჯერობით უცნობია, გაასაჩივრებს თუ არა ადვოკატი ვლადიმერ გაბრიჩიძე საქალაქო სასამართლოს დღევანდელ გადაწყვეტილებას.

შს სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ბაჯელიძე 12 თებერვალს დააკავეს. მას 2 000-ლარიანი თანხის ქრთამად აღებას და საიდუმლო ტენდერის პირობების გასაჯაროებას ედავებიან.

ინტერპრესი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◉ ცინცხალი ანეკდოტები

**კითხვა:** რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ ბანანი არ გაშავდეს?

**პასუხი:** უტრუსებოდ არ უნდა მიიღო მზის აბაზანა.

* * *

– დედი, წლეულს ზღვაზე წავალთ?

– არა, წლეულს ზღვაზე შენი რეპეტიტორები წავლენ.

* * *



– ექიმო, მეხსიერება დავკარგე.

– რა დაკარგეთ?

– რა დავკარგე?

* * *

– გოგონა, მაკაცის საბანი გაქვთ? – ეკითხება ტიპი საბნების განყოფილების გამყიდველს.

– რაო, მას უთუოდ ნახვრეტი უნდა ჰქონდეს?

* * *

– აბრამ, ხვალ დარბევაა!

– მერე მე რა! მე პასპორტით რუსი ვარ.

– დებილო, ისინი პასორტს კი არა, სახეს უხათქუნებენ.

* * *

– მოშე, ხაიმის ტანჯვას ბოლო მოეღებია...

– რაო, გარდაიცვალა?

– არა! ცოლი დაუკრძალავს!

◉ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ ბოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24